საერთო გაზეთი

№31 (764)
ოთხშაბათი
18 სექტემბერი,
2024 წ.
ფასი 2 ლ.

რა გარიგება შედგა პრეზიდენტსა და ოპოზიციას შორის?

როგორ შევიდეთ ევროპაში – ჭოკით გადავხტეთ?!

ლიბერალური წესრიგი ჩვენს თვალწინ იშლება!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის გამსვლელი ნაწილისგან ღალატს არ ველოდები

ჩემთვის ყველაზე დიდი თანამდებობა სამშობლოს ერთგულებაა

„ცხელი შემოდგომის“ მოლოდინში

საქართველო შემოგვყვირის: „გა-მამ-თლი-ა-ნეთ!“

ირაკლი კობახიძე – ვინც მონანიებისა და შერიგების იდეას უპირისპირდება, ის შეგნებულად ეწინააღმდეგება მშვიდობიანი გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას

მშვიდობიანი გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანაა. ეს ამოცანა კი, მხოლოდ შერიგების და შესაბამისად, ორმხრივი მონანიების პირობებში შეიძლება შესრულდეს, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„საბოლოოდ, ყველაფერი შედეგებით იზომება. გარედან მართული სააკაშვილის რეჟიმის მიზანმიმართულმა ნაბიჯებმა - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრების აღდგენამ, ცხინვალის რეგიონში ალტერნატიული სეპარატული საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამ, აგრესიულმა რიტორიკამ, გამუდმებულმა სამხედრო პროვოკაციებმა და ბოლოს, 7 აგვისტოს ცხინვალის დაბომბვამ მოიტანა უმძიმესი შედეგები ჩვენი ქვეყნისთვის - დაიღუპა 400-ზე მეტი ქართველი ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი, 30 ათასი ადამიანი იქცა დევნილად საკუთარ სამშობლოში, საქართველომ დაკარგა ტერიტორიების 20 პროცენტი და უმძიმესი ზიანი მიადგა ნდობას ქართველებსა და ოსებს შორის. ეს შედეგები უნდა გაიაზროს ყველამ, მათ შორის იმ ადამიანებმა, რომლებსაც კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ დღეს ურთიერთპატიებისა და შერიგების წინააღმდეგ განცხადებების გაკეთებას თხოვს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის აგვისტოში ქართული ჯარი იყო ის, ვინც, მაშინდელი ხელისუფლების ღალატის ფონზე, ქართულ სახელმწიფოს ღირსება შეუნარჩუნა. შესაბამისად, ჩვენი ვალია ქედი მოვიხაროთ თითოეული ჯარისკაცის წინაშე, რიგითებით დაწყებული სამხედრო მეთაურებით დამთავრებული, რომელმაც ბრძანება ჯარისკაცის ფიცის შესაბამისად შეასრულა და 2008 წელს სამშობლოსათვის გმირულად იომა, განსაკუთრებით კი იმ გმირების წინაშე, რომლებმაც სამშობლოს ყველაზე ძვირფასი - სიცოცხლე შესწირეს.

მშვიდობიანი გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანაა. ეს ამოცანა კი, მხოლოდ შერიგების და შესაბამისად, ორმხრივი მონანიების პირობებში შეიძლება შესრულდეს. აქედან გამომდინარე, ვინც მონანიებისა და შერიგების იდეას უპირისპირდება, ის შეგნებულად ეწინააღმდეგება მშვიდობიანი გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რაც საქართველოს ეროვნული ინტერესების პირდაპირი ღალატია.“

„მინდა, ასევე გამოვეხმაურო სპეკულაციურ გზავნილს, რომელსაც რადიკალური ოპოზიცია ურთიერთპატიებისა და შერიგების თემაზე აჟღერებს. კერძოდ, ოპოზიცია აცხადებს, რომ არ შეიძლება ბოდიში მოვუხადოთ ქართველების მკვლელებსა და მწამებლებს. ამ სპეკულაციის პასუხად, მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ მკვლელებს და მწამებლებს ეროვნება არა აქვთ და მათთვის ბოდიშის მოხდას არც არავინ აპირებს. ქართველი გმირების მკვლელები და მწამებლები ზუსტად ისეთივე ოსები არიან, როგორი ქართველებიც არიან სააკაშვილი და მისი სისხლიანი რეჟიმის სხვა ლიდერები, რომლებმაც 2008 წელს ცხინვალის მშვიდობიან მოსახლეობას ცეცხლი გაუხსნეს.

სრულიად ცხადია, რომ როდესაც ურთიერთპატიებაზეა საუბარი, მხედველობაში გვყავს ცხინვალის რეგიონში მცხოვრები რამდენიმე ათეული ათასი მშვიდობიანი ოსი, რომლებთან შერიგების გარეშე მშვიდობიანი გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უტოპიაა, შერიგება კი, ბუნებრივია, ორმხრივი მონანიების გარეშე ვერ შედგება.

არათუ ქართველი გმირების მკვლელებთან და მწამებლებთან არ გვაქვს ბოდიში მოსახდელი, ჩვენ, პირველ რიგში, თავად ჩვენი გმირების ოჯახის წევრებს უნდა მოვუხადოთ ბოდიში იმის გამო, რომ თავის დროზე ხელისუფლების სათავეში ომის გამჩაღებელი სააკაშვილი და მისი გარემოცვა მივუშვით. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ზუსტად ისევე არიან პასუხისმგებელი სამშობლოსათვის თავდადებული ჩვენი გმირების სიკვდილზე, როგორც მათი უშუალო მკვლელები. ასეთ პირობებში, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ მცდელობა, ფარად გამოიყენოს დაღუპულ გმირთა სახელები, მხოლოდ უკიდურეს უტიფრობად შეიძლება შეფასდეს“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ქართული სპორტის წარმატებები სახელმწიფოს მხარდაჭერის შედეგია

სპორტი იყო და დღემდე მსოფლიოს მოსახლეობის უსაყვარლეს სფეროდ რჩება მხოლოდ სამართლიანობის პრინციპზე ჩატარებული ასპარეზობების პირობებში. თანამედროვე ოლიმპიური თამაშების დევიზი მხოლოდ სამი სიტყვისგან შედგება „სწრაფად, მაღლა, ძლიერად“. დღევანდელ ოლიმპიადებს უცვლელი საკუთარი ემბლემაც გააჩნია — ერთმანეთზე გადაჭდობილი ხუთი სხვადასხვა ფერის რგოლი, რაც ძმობის, მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სიმბოლოა სხვადასხვა ფერის, რწმენისა და შეხედულების ადამიანებისთვის.

დევიზი და ემბლემა ერთია, მაგრამ თანამედროვე სპორტი კოლოსალურ შრომას რომ მოითხოვს, საყოველთაოდაა ცნობილი. ამის გარდა, ათლეტებს სათანადო პირობები სჭირდებათ — კეთილმოწყობილი საწვრთნელი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, ფინანსური დახმარება. მოკლედ, პროფესიული სპორტი სოლიდურ ხარჯებთან, შრომასთან არის დაკავშირებული. აქვე გასათვალისწინებელია სპორტსმენებისთვის ფსიქოლოგიური და მორალური მხარდაჭერის აუცილებლობა.

პარიზის ოლიმპიური თამაშები უკვე ისტორიას ჩაბარდა. რაოდენ სასიხარულოა ჩვენი სპორტსმენების ღირსეული ასპარეზობა მსოფლიო სპორტის ასეთ დიდ ფორუმზე. ამდენი რაოდენობის სხვადასხვა სინჯის მედალი საქართველოს დამოუკიდებელ ისტორიაში ჯერ არ გვქონია. თავი არ შეირცხვინეს ჩვენებურმა პარალიმპიელებმაც — 14-მა მონაწილემ 9 სხვადასხვა სინჯის მედალი ჩამოიტანა სამშობლოში. ლაშა ტალახაძე და გენო პეტრიაშვილი ხომ ლეგენდარულ სპორტსმენებად აღიარეს მსოფლიოს სპორტულ პრესაში.

წარმატებები თავისით არ მოსულა. საქართველოს ხელისუფლებამ, ოლიმპიურმა კომიტეტმა, სპორტულმა ფედერაციებმა 2012 წლიდან მოყოლებული, კოლოსალური შრომა გასწიეს ქართული სპორტის ასაღორძინებლად. ნაცრეჟიმი სპორტუყლ ბაზებს ასხვისებდა, ანგრევდა, გულშემატკივრები კი სპორტსმენებს მაღალ შედეგებს ვთხოვდით. ცოტა ვინმე თუ საუბრობდა ჩვენი სპორტსმენების საჭიროებების შესახებ. სპორტის აკადემიის გაუქმებამაც დიდი უარყოფითი როლი ითამაშა ჩვენს სპორტში. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ ვის უნდა ჩაეტარებინა ფიზკულტურის გაკვეთილები სკოლებში.

განვლილ პერიოდთან შედარებით, ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა. გადავხედოთ, რამდენი ახალი სპორტული ბაზა აშენდა ჩვენს ქვეყანაში. რაც მთავარია, ხელისუფლება ღირსეულად აფასებს თითოეული სპორტსმენის ღვაწლს, მათ მცდელობას. ყოველივეს კარგად ხედავენ თავად სპორტსმენები. ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის, პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და დარგის მინისტრი თეა წულუკიანი ცდილობენ, დაესწრონ და უგულშემატკივრონ ჩვენს სპორტსმენებს ნებისმიერ შეჯიბრებებში. საქართველოს პარალიმ-

პიური კომიტეტის ხელმძღვანელი რატი იონათამიშვილი თამაშების დაწყებამდე და შეჯიბრების პერიოდში გვერდიდან არ მოსცილებია ქართველ სპორტსმენებს.

რამდენი წელი ელოდებოდნენ ქართველი ქომაგები ფეხბურთში ჩვენი ნაკრების კარგ თამაშს, ნებისმიერ წარმატებას. წლეულს ჩვენებურებმა გააჯარეს საქართველო — იასპარეზეს ევროპის ჩემპიონატზე, სადაც მართლაც ღირსეულად ითამაშეს. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნე, გადაუჭარბებლად შეიძლება ვთქვათ, ბრწყინვალედ დაიწყეს. ესეც სახელმწიფოს მხრიდან დახმარების შედეგია.

აქ ორ შემთხვევას გავიხსენებ, რომლებიც თავად სპორტსმენებმა მიამბეს. 1977 წელს ჩვენი სახელოვანი მოკრივე დავით კვაჭაძე ევროპის ჩემპიონი გახდა. „...თბილისის აეროპორტში რომ ჩამოვფრინდი, გზის ფული არ მქონდა, რომ სახლამდე მივსულიყავი. ავტობუსის მძღოლს ავუხსენი ჩემი მდგომარეობა და მან უფასოდ მიმიყვანა ორთაჭალამდე“, — მომითხრო ინტერვიუში. მიხეილ ქორქიას და ზურაბ საკანდელიძეს, ორ ოლიმპიურ ჩემპიონს, აეროპორტში ზურაბის მეუღლე და მიხეილის დედა დახვდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს მხრიდან დღეს სპორტისა და სპორტსმენების მიმართ მიდგომა უმაღლეს დონეზეა. ფინანსური პრემიების გარდა, ირაკლი კობახიძემ ოლიმპიადაში მონაწილეებს სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენა აღუთქვა. გასულ პარასკევს ათონელის ქუჩაზე მდებარე პრეზიდენტის რეზიდენციაში სპორტსმენებს საზეიმოდ გადასაცეს შეპირებული ჯილდოები.

დიახ, ქვეყანა წინ მიდის, აღმავლობის გზაზეა, რაზეც სპორტში მიღწეული წარმატებებიც მეტყველებს. მსგავსი მიდგომით კი ჩვენი სპორტსმენები მიღწეულით არ დაკმაყოფილდებიან და უფრო მაღალ შედეგებზე იფიქრებენ. საერთოდაც, ზოგჯერ გულწრფელად ნათქვამი „მადლობა“ ოქროზე ძვირად ფასობს.

ამის მაგალითია, როდესაც კვირას საქართველოს მოსახლეობამ მერაბ დვალიშვილის მიერ UFC-ის ოქტაგონზე სუპერ მსუბუქ წონაში ჩემპიონის ქამრის მოპოვება იზეიმა. მსგავსი ჯილდო უკვე მეორეა საქართველოს ისტორიაში. პირველი ჯილდო ლაშა დვალმა მოიპოვა. მსგავსი შემთხვევა UFC-ის ისტორიაში არ ყოფილა, რომ ერთი ქვეყნის ორ სპორტსმენს ზედიზედ ორი საჩემპიონო ქამარი მოეპოვებინა. სწორედ ეს გარემოება გვაძლევს იმის საფუძველს, რომ თამამად ვთქვათ, ჩვენი ხელისუფლება ქართველი სპორტსმენების გვერდში დგას. თავად სპორტსმენს გამარჯვება ჯერ თვითონაც არ ეზეიმა, როდესაც „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა და საპატიო თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა პარლამენტის, მთავრობის, თბილისის მერიისა და ხელისუფლების ყველა შტომ მყისიერად მიულოცეს წარმატება ქართველ ათლეტს.

გია ბურდული

რა გარიგება შედგა პრეზიდენტსა და ოპოზიციას შორის?

გვესაუბრება პოლიტიკოსი პეტრე მამრაძე:

— ბატონო პეტრე, „ქართულმა ოცნებამ“ სიის პირველი ოცეული წარადგინა, რომლის პირველი ნომერი ბიძინა ივანიშვილია.

— ეს გადაწყვეტილება, პოლიტიკაში პარტიის საპატიო თავმჯდომარედ მისი დაბრუნების ლოგიკური გაგრძელებაა. ივანიშვილის განცხადებებს თუ გადავხედავთ, ყოველთვის ჩვეული გულახდილობა იგრძნობა. გავიხსენოთ თუნდაც პარტიის შიგნით არსებულ პრობლემებზე საუბარი. მან მაშინ კორუფციაც ახსენა. 26 ოქტომბრის არჩევნები მეტად მნიშვნელოვანი იქნება. ხელისუფლებაში მყოფ არაერთ ნამდვილ პატრიოტს მართლაც სურს, ჩვენი სახელმწიფო ამ ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში, გადარჩეს, მშვიდობა შენარჩუნდეს. ჩვენ არნახული ეკონომიკური კეთილდღეობა და ზრდა გვაქვს, რასაც კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის, მსოფლიო ბანკიც ადასტურებს. ოპონენტები გაჰკივიან, ხალხს ეკონომიკურად უჭირს, შიმშილობსო. არადა, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სააკაშვილის მიერ დატოვებული სიღარიბის დაძლევის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. ქვეყნისთვის სასურველია, „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მიიღოს, როგორც ეს 2016 წელს მოხდა, თუმცა მაშინ ეს შანსი ეფექტიანად ვერ იქნა გამოყენებული. სწორედ ამის გამო ჩაუდგა ივანიშვილი სიას სათავეში.

— როგორ ფიქრობთ, ივანიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატი იქნება?

— არ მგონია. მის პიროვნებას, ქცევებს ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან თვალ-ყურს ვადევნებ და ვიცი, რომ ამ პოსტს არ დათანხმდება. 2012 წელს პრემიერობასაც მხოლოდ იმიტომ დასთანხმდა, რომ კონსტიტუციის თანახმად, სააკაშვილი პრეზიდენტად კიდევ ერთი წელი — 2013 წლის ნოემბრამდე რჩებოდა. როგორც კი ვადა ამოეწურა, მიშა საქართველოდან სამარცხვინოდ გაიპარა ისე, რომ მარგველაშვილის ინაუგურაციასაც კი არ დაესწრო. სააკაშვილის წასვლისთანავე, ბატონმა ბიძინამ სიტყვა შეასრულა და პრემიერობიდან გადადგა. ჩვენი საზოგადოების ნაწილმა, როგორსაც ილია ბედნიერ ერს უწოდებდა, ერთი ამბავი ატეხა, აგერ, ნახეთ, თუ გადადგებაო. მათ ეგონათ, რომ პრემიერის სავარძელი ფულის კეთების საუკეთესო საშუალება იყო. მერე, როცა ივანიშვილი მართლა გადადგა, იმაზე ატეხეს კივილი, წავიდა და პასუხისმგებლობა თავიდან აირიდაო. ეს ხალხი გუშინ ღია ეთერში ერთმანეთს რომ ლანძღავდა და უწმაწურ სიტყვებს არ იშურებდა, დღეს ერთად დგას და ერთმანეთს ტაშს უკრავს. ეს კინო უკვე მერამდენედ ვნახეთ.

— ივანიშვილი სიის პირველი ნომერი არასდროს ყოფილა. 2012 წელს პირველი ნომერი კალაძე იყო, 2016 წელს — კვირიკაშვილი, 2020 წელს — გახარია. როგორ ფიქრობთ, ახლა რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება?

— იმიტომ, რომ 2024 წლის არჩევნები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ოპოზიციის ნაწილმა კოალიციები შექმნა, რომლებიც ისევ მიშასთან არიან აფილირებულნი. მაგალითად, ბოკუჩავა და ვაშაძე მიშას რეფორმატორად მოხსენიებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. მათ სხვა რესურსი არ აქვთ, რაც ნიშანდობლივია. სხვაგვარად ხმებს ვერ მოიპოვებენ, ამიტომ ისევ მიშას კარტს ათამაშებენ.

ოპოზიციას ზურგს უცხოელი ლობისტებიც უმაგრებენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვანო მერაბიშვილის პოლიციის კაპიტანი გიგაური, რომელიც თოთხმეტი წელია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ უცვლელი თავმჯდომარეა, რომელსაც მიშას დროს დავალებული ჰქონდა ელიტარულ კორუფციაზე, ადამიანის უფლებების დარღვევაზე ხმა არ ამოეღო, ახლა აშშ-ის კონგრესში მიიწვიეს, სადაც დემოკრატიის უკუსვლაზე საუბრობდა! ცნობილმა მეცნიერმა, რეიგანის ყოფილმა თანაშემწემ დაგ ბენდოუმ გამჭვირვალობის კანონზე წერილი გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოში აშშ-ის ამპარტავნული იმპერიალიზმის სრულმასშტაბიან მანიფესტაციას აქვს ადგილი. ე. წ. ოპოზიცია, ანტიეროვნული ძალები ყოველ მეორე დღეს აჟღერებენ სქემას, რაზეც უცხოურ გამოცემებში აქტიურად წერენ. კერძოდ, ლობისტების და მთავრობების ზოგიერთი წარმომადგენლის აზრით, თუ არჩევნები სამართლიანად ჩატარდება, „ქართული ოცნება“ გამარჯვებას ვერ შეძლებს. მეტიც, ამბობენ, რომ სამართლიანად ჩატარებულ არჩევნებში მმართველი ძალა 25%-ზე მეტს ვერაფრით მიიღებსო. ამ აზრს შემდეგი „მტკიცებულებით“ ამყარებენ: საქართველოს მოსახლეობის 80% ევროინტეგრაციის მომხრე, პროდასავლური განწყობისაა, „ქართულმა ოცნებამ“ კი ეს გზა ჩახერგა, ეს საშინელი, აგენტების კანონი უკან აღარ გაიწვია, რაც კრემლის დიქტატით არის მიღებულიო. კრემლის მარიონეტებს კი თურმე რუსი ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი მართავს. ახლა არ იკითხავთ, ეს რით დასტურდება? — მიტინგებით, სადაც ასიათასობით ადამიანი გამოსულა!!! ეს სტატიები საკუთარი თვალით მაქვს წაკითხული. ამ დროს, ოჯახის სიწმინდის დღეს მილიონზე მეტი ადამიანი რომ გამოვიდა, ივანიშვილთან შეხვედრებს რომ უამრავი ადამიანი ესწრება, ეს სათვალავში არ შედის. ეს ხალხი მათთვის არაფერს წარმოადგენს.

გერმანიაში არსებულმა მარშალის ფონდმა ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია: თუ „ქართული ოცნება“ თავის ცესკო-ს პირით მაინც გამოაცხადებს, რომ გაიმარჯვა, თუნდაც 50%-ზე ოდნავ მეტით, დასავლეთის ლიდერებმა მაშინვე ერთხმად უნდა განაცხადონ, რომ საქართველოში მასობრივი გაყალბება მოხდაო. ისინი იტყვიან, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ძალისმიერი მეთოდებით ძალაუფლების უზურპაცია მოახდინა. ამ დღიდან დასავლეთი ხელისუფლებას არალეგიტიმურად გამოაცხადებს და ალბათ, დიქტატურულ რეჟიმად მოგვნათლავენ. აკი თქვეს კიდეც ამას წინათ შაჰინმა და სხვებმა, ხელისუფლება დემოკრატიიდან დიქტატურისკენ მიდისო. საინტერესოა, რომ დასავლეთს პუტინი და მის მიერ ჩატარებული არჩევნები არალეგიტიმურად არასდროს გამოუცხადებია! აი, ასეთი ვითარებაა.

უცხოელებმა, იცით, რა მითხრეს? — ამ სცენარის განვითარების შემთხვევაში, პირველი ოფიციალური პირი, ვინც არჩევნებს გაყალბებულად გამოაცხადებს, თქვენი პრეზიდენტი იქნებაო. ზურაბიშვილმა ასეთი რამ რომ განაცხადოს, მას საბაბი უნდა ჰქონდეს, ან რომელიმე დამკვირვებლის დასკვნა, ან საარჩევნო უბნებზე გადაღებული ძალადობის სცენები. ნაცებისთვის ამის მოწყობა უადვილესია — ოცი წელია დაოსტატებული არიან ამის კეთებაში. მათ შესანიშნავად იციან, ძალადობის იმიტაცია როგორ მოახდინონ. თუ საჭირო გახდა, შესაბამის ადგილას ორ-სამ გვამსაც დადებენ. გავიხსენოთ, სააკაშვილის ბრძანება, უნდა მოკვდეს ჟურნალისტი გოგო, თანაც ორსულიო. ვითარება მეტად რთულია. ამიტომ ივანიშვილის პირველ ნომრად დასახელებას აბსოლუტურად მხარს ვუჭერ.

— ზურაბიშვილი პრეზიდენტობის მეორე ვადისთვის ემზადება.

— მას თანამდებობას თუ შემოაცლი, როგორც ფიგურა ნული გახდება. ასე მოხდა მაშინაც, როცა საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და სააკაშვილმა პოსტიდან სამართლიანად მოხსნა. მაშინაც ნულად იქცა. იმ პერიოდშიც ოპოზიციაში გადავიდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, პოლიტიკური პარტიაც ვერ შექმნა. მას ელემენტარულად, ადამიანებთან კომუნიკაცია არ შეუძლია. ანტიქარიზმულობაში ბოკერიაც ჯობნის. ახლა გვიმტკიცებს, რომ ნამდვილი ევროპელია და საქართველოს გადასარჩენად, ევროპაში შესაყვანად თავდაუზოგავად იბრძვის. ხედავთ, იმპიჩმენტსაც არ შეუშინდა, მაინც ბრძოლას განაგრძობს. ასეთმა ინფორმაციამაც გამოჟონა: ოპოზიციური პარტიები ორბელიანის სასახლეში ცალ-ცალკე რომ დადიოდნენ, იქ ასეთი გარიგება შედგა: რასაც გეტყვით, ყველაფერს თუ შეასრულებ, პარლამენტში უმრავლესობით რომ მოვალთ, ისევ პრეზიდენტად აგირჩევთო. მასთან გარიგება დადეს სრულიად ულირსმა ადამიანებმა, ვინც მანამდე ქალბატონს საჯაროდ უწმაწური სიტყვებით ლანძღავდნენ. გავიხსენოთ, რას ამბობდა ვაშაძე: ზურაბიშვილი რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ომში მთავარი იარაღიაო. გუშინ იარაღი იყო, დღეს ევროპისკენ გზისმკვლევი გახდა.

— „ქართული ოცნების“ სიაში მოხვდნენ ოლიმპიური ჩემპიონები, რასაც ოპოზიციური ფლანგის მხრიდან ბულინგი მოჰყვა.

— სპორტსმენებს რაც შეეხება, გავიხსენოთ ოლიმპიური ჩემპიონი, რომელიც ნაცების სიით პარლამენტარი გახლდათ. მეტიც, გამოჩენილი ლოტბარი, ანზორ ერქომაიშვილი 2008 წელს ნაცების სიაში იყო. მაგრამ მაშინდელ არჩევანსა და ოლიმპიური ჩემპიონების ახლანდელ გადაწყვეტილებას შორის დიდი სხვაობაა. ერქომაიშვილმა მაშინ შესანიშნავად იცოდა, რა რეჟიმი იყო საქართველოში, მაგრამ იგი უდიდეს საქმეს ემსახურებოდა — ქართული მრავალხმიანი სიმღერების აღდგენის პროგრამას ახორციელებდა. დიახ, მან იცოდა, ნაცებს რომ არ დასთანხმებოდა, პრობლემები შეექმნებოდა. ახლა პრინციპული სხვაობაა. სპორტსმენებს საერთოდ არ აქვთ ეს ტვირთი, რომ უარს თუ იტყვიან, რაიმე პრობლემა შეექმნებათ. პრობლემები მულტიმილიონერებს, ფინანსურ განგსტერებს, კოლექტიურ ოქრიაშვილებს, ნაყოფიებს, ხაზარაძეებს და ჯაფარიძეებს არ ექმნებათ, რომლებიც ღია ეთერში ლანძღავენ ხელისუფლებას, ივანიშვილს. სპორტსმენებს რისი უნდა ეშინოდეთ?!

— კარპენტერმა განაცხადა, რომ არჩევნების შემდეგ შეიძლება ოპოზიციური პარტიების კრიმინალიზება და ნაცების უკანონოდ გამოცხადება მოხდეს. ნაცების გასამართლების დაპირებაზე რა მოსაზრება გაქვთ?

— რაც შეეხება კოლექტიურ კარპენტერების განცხადებას, აქ მნიშვნელოვანია შემდეგი: მიშას და მისი ნაცისტების მასშტაბურ დანაშაულებზე, ადამიანის უფლებების დარღვევაზე, იმაზე, რომ რეპრესიები 300 ათასზე მეტ პრობაციონერს მოუწყვეს, იმაზეც რომ საქართველო ათას მოსახლეზე პატიმრების ოდენობით რუსეთს გაუტოლდა, ხმა არავის ამოუღია. პატიმრებიდან უდიდესი ნაწილი ან საერთოდ უდანაშაულო იყო, ან არაპროპორციულ სასჯელს იხდიდა. 2009 წელს „ადამიანის უფლებების დაცვის“ კომისიის თავმჯდომარე ვიყავი და არაერთ საქმეს გავეცანი. მაგალითად, ასაკოვან დარაჯს, რომლის ტერიტორიიდან 80 კგ ჯართი მოიპარეს, შვიდი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის საბჭოს უზენაესი კომისრის ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის თომას ჰამერბერგის ანგარიშში სრული სიმართლე ეწერა იმის შესახებ, რაც საქართველოს ციხეებში, სასამართლო სისტემაში და ზოგადად, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის კუთხით ხდებოდა. უამრავი ასეთი ანგარიში და სტატია იწერებოდა. მაშინ დასავლეთის გავლენიანი პრესა წერდა, რომ საქართველოს პარლამენტი აღარ ჰყავს, არამედ ეს არის ერთგვარი რეზინის შტამპი, სადაც სააკაშვილი თავის ახირებულ გადაწყვეტილებებს შტამპავს. სად იყვნენ მაშინ კარპენტერები, ამერიკის სენატორები, საჯაროდ ხმას რატომ არ იღებდნენ?! სხვათა შორის, ერთ-ერთმა გერმანულმა ჟურნალმა სააკაშვილს შეშლილი დიქტატორი უწოდა, მას მერე, რაც იმიტირებული ქრონიკა იხილა. მსოფლიოს წამყვანმა ფიგურამ, კორუფციასთან მებრძოლმა, აშშ-ის ლეგენდარულმა პროკურორმა ბარცელამ აღნიშნა: სააკაშვილი დასავლეთს ურჩევს, რეფორმების ჩატარების მხრივ, მაგალითი მისგან აიღონ მაშინ, როცა მისი პოლიციის ჩექმა ხალხს კისერზე მძიმედ აწვებაო. დასავლელი პოლიტიკოსები რატომ დუმდნენ?! ტეხასში თავის რანჩოზე ბუშმა მერკელს უთხრა: ყველაფერი ვიცი სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმზე, მაგრამ მაგაზე არ მელაპარაკოო. რატომ? — იმიტომ, რომ მიშა ბუშისთვის ბოლომდე სარეკლამო ბიჭუნად რჩებოდა.

ახლა, როცა საქართველო გარკვეული პარამეტრებით დიდი შვიდეულის ხუთ ქვეყანას უსწრებს, რა ხდება? ახლა გავხდით დიქტატორული რეჟიმი, როცა ყველა პარამეტრში გაუმჯობესებას თავად დასავლელი, პოლიტიკურად არაანგაჟირებული სპეციალისტები აღნიშნავენ?! ამას არასდროს შევეგუები. მიხარია, რომ დასავლეთში ისევ არიან მეცნიერები, რომელთაც ყველაფერი იციან და სიმართლეს წერენ.

თამარ შველიძე

როგორ შევიდეთ ევროპაში – ჭოკით გადავხტეთ?!

გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიკოსი სოსო მანჯავიძე:

— ბატონო სოსო, ფილადელფიაში ტრამპისა და ჰარისის ისტორიული დებატები გაიმართა. რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ამ შერკინებამ?

— საოცრად უშინაარსო დებატები იყო — ერთმანეთის შეურაცხყოფისა და სრულიად წარმოუდგენელი ტყუილების ფრქვევის გარდა, რითაც განსაკუთრებით კამალა ჰარისი გამოირჩეოდა, მნიშვნელოვანი არაფერი მოგვისმენია. აშკარად იგრძნობოდა, რომ მოდერატორები ჰარისის მხარეს იყვნენ. კამალა განუწყვეტლივ დემოკრატების ნარატივს იმეორებდა. ანუ, ტრამპს კრიმინალს, რასისტს, პუტინის მხარდამჭერს ეძახდა. წარმოუდგენელი ცილისწამებების ლიბერალური თაიგული შეიკრა. მეორე მხრივ, ტრამპი რეალურ მოვლენებზე საუბრობდა. კერძოდ იმაზე, რომ კამალა ჰარისი უკიდურესი მემარცხენე მარქსისტი და მატყუარაა. მან ჰარისის მიმართ იგივე ბრალდებები გაიმეორა, რასაც ბაიდენის მისამართით აჟღერებდა — რომ ისინი ცდილობენ, ამერიკა დაღუპონ, ებრძვიან მის ტრადიციულ ფასეულობებს, ასევე, სურთ ამერიკელებს იარაღი ჩამოართვან და ა.შ. რა თქმა უნდა, ოპონენტს მიგრაციულ კრიზისში და ომის გაჩაღებაში ადანაშაულებდა. პასუხად კამალამ, სრულიად უსირცხვილოდ, ტრამპს ავღანეთში ომის გაჩაღება დააბრალა. სარგებლობდა რა იმით, რომ ამერიკელების დიდ ნაწილს მოკლე მეხსიერება აქვს.

მოკლედ, მხარეები ძველ პოზიციებზე დარჩნენ. დემოკრატებმა ის გააკეთეს, რაც სურდათ — ისეთი პიარი აწარმოეს, თითქოს, კამალამ დებატებში ტრამპი გაანადგურა. მნიშვნელობა არ აქვს რეალურად როგორი შთაბეჭდილება დატოვა ამერიკულ საზოგადოებაზე დებატებმა, მაინც იტყვიან, კამალამ ტრამპი გაანადგურაო. აქედანაც ნათელია, რომ „დემოკრატები" ძალაუფლების დათმობას არავითარ შემთხვევაში არ აპირებენ. ღიად საუბრობენ, რომ ერთადერთი მისაღები რეზულტატი მათთვის გამარჯვებაა. დაახლოებით, იგივე პოზიციაზე არიან ტრამპის მომხრეები, რომელთაც ჰარისის გამარჯვება ვერც კი წარმოუდგენიათ. შესაბამისად, მძიმე დაპირისპირების ნიშნები იკვეთება. ახლა ღიად არ ჩანს, თუმცა დიდი შანსია, რომ მალე დაპირისპირება ცხელ ფაზაში გადავიდეს. მით უმეტეს, იმ ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, რაც აშშ-ია — ფარული ინფლაცია, უზარმაზარი სახელმწიფო ვალი, არაუზრუნველყოფილი ვალდებულებები და მძიმე საგარეო პოლიტიკური ვითარება.

— მოწინააღმდეგე მხარეებს გამარჯვების რა შანსები აქვთ?

— ეს საკითხი შემდეგი კუთხით უნდა განვიხილოთ: ეს გახლავთ ბრძოლა ტრანსნაციონალებსა და ე. წ. ნაციონალურ კაპიტალს შორის. ნაციონალურ კაპიტალს, ერთგვარად, ტრამპი წარმოადგენს. იგი მომხრეა, რომ საწარმოო სიმძლავრეები ამერიკაში გადმოვიდეს, რაც, სხვათა შორის, ტრანსნაციონალურმა ძალებმა თავის დროზე მესამე ქვეყნებში გადაიტანეს. ამის შედეგად წარმოუდგენლად გაძლიერდა ჩინეთი, რომელიც დღეს აშშ-ის პირველი მოწინააღმდეგეა.

— ვინ არიან ეს ტრანსნაციონალური კორპორაციები?

— ეს გახლავთ „სილიკონის ველი", „უოლსტრიტი", ჰოლივუდი — ამერიკული „ოცნებების ფაბრიკა", ლიბერალური საზოგადოება, მიგრანტები და ა. შ. ამერიკას, რა თქმა უნდა, ძალიან ჭკვიანი ელიტა ჰყავს, მაგრამ მთლიანად ამერიკული საზოგადოების უდიდესი ნაწილის დონე საკმაოდ დაბალია. დავსვათ შეკითხვა: რატომ შეირჩა კანდიდატად კამალა ჰარისი? იმიტომ, რომ ფერადკანიანები ხმას სწორედ მას მისცემენ, ასევე, მიგრანტებიც, რომლებზეც ჰარისი ასე ზემოქმედებს — ისიც მიგრანტების შვილია. მას ხმას მისცემენ სექსუალური უმცირესობებიც. კამალა კულტურული მარქსიზმის მიმდევარია. თუ მარქსი პროლეტარიატს იყენებდა, ამ ინსტრუმენტად ახლა უმცირესობები იქცნენ. ვიმეორებ, ჰარისი პირწავარდნილი კულტურული მარქსისტია. საქმე ის არის, რომ აშშ-ის საზოგადოება, რომლის აზრი ყოველთვის გადამწყვეტი იყო, ანუ, პურიტანული, კონსერვატული ამერიკა, ხალხი, რომელიც მორწმუნე, ოჯახის ერთგულია, უმრავლესობას აღარ წარმოადგენს. სისტემა ისეა მოწყობილი, რომ მათი ხმა გადამწყვეტი აღარ არის. ამერიკელები, რომელთათვისაც ჩემ მიერ ჩამოთვლილი ძალების გამარჯვება მიუღებელია, ირაზმებიან. რამდენიმე დღის წინ მინესოტაში გამოსვლისას ტრამპმა ღიად მიმართა ამერიკელებს: თქვენ ხომ ყველას გაქვთ იარაღი, კამალას თქვენთვის იარაღის ჩამორთმევა უნდაო. მოგეხსენებათ, აშშ-ში იარაღი ყველას აქვს, ამ წლების განმავლობაში ამერიკელები ტყვია-წამალს აქტიურად იმარაგებდნენ. აი, ასეთი დაძაბული ვითარებაა.

დემოკრატებმა ოსტატურად გამოიყენეს უკრაინის მიერ კურსკის ოპერაციის თემა. რატომ დაიწყო უკრაინამ სისხლიანი, მისთვის არაფრისმომცემი სამხედრო ავანტიურა კურსკში მაშინ, როდესაც ომის ძირითად ფრონტზე, დონბასში, მის ყველაზე სტრატეგიულ ცენტრებს საფრთხე შეექმნა?! უკვე ლაპარაკია ყველა მიმართულებით ფრონტის გარღვევაზე. უფრო სწორად, ყველა მიმართულებით შეტევა ხორციელდება და რუსები ყოველდღე ასობით კვადრატულ კილომეტრს იკავებენ. კურსკზე შეტევით დემოკრატებს საშუალება მიეცათ, წარმატებაზე ელაპარაკათ — აი, უკრაინა კურსკს უტევს და მალე ისეთ წარმატებას მიაღწევს, რომ რუსეთი სრულიად განადგურდებაო. ამ დროს ათი ათასი უკრაინელი ჯარისკაცია დაღუპული და მათი მდგომარეობა უფრო მძიმდება. იგივე სიტუაციაა, რაც ჩვენთან 2008 წლის ომის დროს იყო. მაშინაც აშშ-ში არჩევნები იყო და მაკ კეინისთვის რეიტინგის მომატებას, ჩვენი ბიჭების სიცოცხლე, სოფლები შეეწირა.

— რაც შეეხება აბორტის უფლების თემას, დებატების დროს ჰარისმა განაცხადა, რომ ქალის გადასაწყვეტია, საკუთარ სხეულს რას უზამს.

— დიახ, ამ დებატების კიდევ ერთი პარადოქსი ის იყო, რომ კამალა ჰარისი აბორტების პროპაგანდისტად მოგვევლინა. ამერიკაში ქალები აბორტის უფლებას თავიანთ მთავარ უფლებად მიიჩნევენ. დიახ, ბაია პატარაიას ლოზუნგი — ჩემი სხეული ჩემია, ასევე, ჰარისის მთავარი წინასაარჩევნო აქტივია, რითაც ის ლიბერალ ქალებს იზიდავს. მან ტრამპს დააბრალა, თითქოს, აბორტების წინააღმდეგია, რაც ამ უკანასკნელმა უარყო. იგი, უბრალოდ, აბორტის წახალისების წინააღმდეგია. „თეთრ რასისტთან", „ქალთმოძულესთან" ერთად, ტრამპს ეს კლიშეც მიაწებეს. ტრამპი ამ თიკუნებისგან გათავისუფლებას ცდილობს. აქაც ხომ ასეა, თუ ლიბერალების საწინააღმდეგო რამეს იტყვი, მაშინვე პუტინისტს დაგიძახებენ. ასეა თუ ისე, ტრამპი თავისი ნაკლოვანებებით, ადამიანია. მისი მოწინააღმდეგენი კი ადამიანურ სტადიაში აღარ იმყოფებიან. დემოკრატებს ტყუილად როდი ეძახიან დემონოკრატებს.

2016 წელს არჩევნებში ტრამპთან დაპირისპირებისას ჰილარი კლინტონს რომ გაემარჯვა, დღეს მსოფლიოში არსებული ვითარება (მესამე მსოფლიო ომისკენ მივექანებით), უკვე მაშინ შეიქმნებოდა. ხომ ვხედავთ, ბაიდენის გამარჯვებასთან ერთად რა პროცესები განვითარდა — მთელ მსოფლიოში, სადაც კი შესაძლებელი იყო, ხანძარია. ტყულად როდი არიან მისი თაყვანისმცემლები ჩვენი ადგილობრივი ნაცები — ლიბერალები მას თაყვანს სცემენ. აქაც ომის გაჩაღება სურთ. ზოგიერთი ჩვენი გამოთაყვანებული თანამემამულე კი ამაში ვერ გაერკვა და სისულელეებს იძახის. ახლახან აჩი არველაძემ წამოაყრანტალა, რუსი ოლიგარქი ომით გვაშინებს და ამით სურს ევროპისკენ გზა გადაგვილობოსო. ამ სიგიჟეებს რომ ლაპარაკობენ, სახლში პატრონი მაინც არ ჰყავთ, რომ ჭკუა დაარიგოს?! მთელი გულითაც რომ უნდოდეს ევროკავშირს ჩვენი მიღება, როგორ უნდა მიგვიღოს მაშინ, როცა ერთ მხარეს თურქეთია, რომელიც გვემეზობლება და მეორე მხარეს რუსეთი, მათ შორის კი შავი ზღვაა. და როგორ აპირებს აჩი ევროკავშირში შეხტომას, ჭოკით უნდა გადახტეს?! სოროსის კუპატმა ლევან ლორთქიფანიძემ კი საერთოდ საოცრება დაახეთქა — ოლიმპიურმა ჩემპიონებმა „ქართულ ოცნებაში" გაერთიანებით ცოდვა ჩაიდინეს და უნდა მოინანიონო. წარმოიდგინეთ, რა კომედიასთან გვაქვს საქმე. ერთი მხრივ, ღმერთი ევროპამ შეცვალა და ეშმაკი — რუსეთმა. ახლა შევხედოთ, როგორ არის ინტერპრეტირებული ცოდვის ცნება: ივანიშვილი თურმე პუტინის მოციქულია და ღმერთის ადგილს ევროპა ასრულებს. ევროპას თუ თავს არ სწირავ, ე. ი. ცოდვას ჩადიხარ. ის ბულინგი, რომელიც ამ დეგენერატებმა ჩვენი სპორტსმენების მიმართ გააჩაღეს, ყოველგვარ ზღვარს გასცდა. დროა, მათ პასუხი სხვანაირად მოეთხოვოთ. ესენი პირდაპირი მოსისხლე მტრები არიან.

— ბოლოს კონგრესში საქართველოს საკითხზე გამართულ მოსმენაზეც მინდა გკითხოთ, სადაც მთავარი მომხსენებელი „ნეიტრალური" პირი გიგაური იყო...

— ეკა გიგაური სტაჟიანი მოღალატეა. 2011 წელს გიგაური გახლდათ ინსპირატორი იმისა, რომ ქართული სასოფლო-სამეურნეო მიწები უცხოურ საფინანსო ორგანიზაციებზე შეუზღუდავად გაეყიდათ. დიდი ბრძოლა დაგვჭირდა, რათა ეს ინიცირება დაგვებლოკა. ჩვენი მოთხოვნით ამ საკითხზე მორატორიუმი დაწესდა, თუმცა ეკა გიგაურმა აქაც „იყოჩაღა" და შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ მორატორიუმი არაკონსტიტუციურად ცნო. ეს ქართველი ხალხის უმიწაწყლოდ დატოვების პროექტი იყო, რომლის მთავარი სულისჩამდგმელი მოღალატე გიგაური გახლდათ.

დღესაც იგივე ხდება. ცდილობენ, საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოამზადონ. ამერიკელები ცნობილი გადამტრიალებლები არიან, ყველგან ყველაფერს ატრიალებენ და არც იციან, რას და რისთვის. აი, საქართველოში კი მათი გეოპოლიტიკური მიზანი რუსეთის გარშემო ცეცლოვანი სარტყელის შექმნაა. გარდა ამისა, აქ დესტაბილიზაციის გამოწვევა იმ პროექტებს ჩაშლის, რომელსაც ისინი ვერ აკონტროლებენ. საუბარია, სამხრეთ-ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ-დასავლეთის პროექტებზე, რაშიც ჩართულნი არიან ჩინეთი, ინდოეთი, ირანი, რუსეთი. ამ პროექტების განხორციელებისთვის ჩვენ ერთერთი რგოლი ვართ. თუ აქ არეულობა დაიწყო, შესაბამისად პროექტების განხორციელებას პრობლემები შეექმნება.

სხვადასხვა ქვეყნების ელჩები მწუხარებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ საქართველო ომში არ ჩაერთო და ჰალსტუხიან კაციჭამიებს თავი არ შეაკლა. ეს თურმე რუსეთისკენ სვლა ყოფილა. ამასვე იმეორებენ მათი სასარგებლო იდიოტებიც, რომლებიც საშიში არიან. ვინც ამ სტატიას წაიკითხავს, მოვუწოდებ, გააცნობიერონ, რა საფრთხე გვემუქრება ამ სასარგებლო იდიოტების გამო. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ისინი ხელისუფლებაში არ მოვუშვათ, არც დესტაბილიზაციის შექმნის საშუალება მივცეთ, თორემ ის, რაც დღეს გვაქვს, სანატრელი გაგვიხდება, ტკბილ სიზმრად გადაგვექცევა. კი ბატონო, ევროკავშირთან კარგი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს, მაგრამ მის მონად არ უნდა გადავიქცეთ, მოლა ნასრედინის ვირივით სტაფილოს არ უნდა მივდევდეთ და საშუალება არ უნდა მივცეთ, გვმართონ. აქვე ღიად გვეუბნებიან, აუცილებლად ლგბტ ფასეულობები უნდა დანერგოთ და პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონი არ მიიღოთო. თანაც თავიანთ აღიარებულ გეებს გვიგზავნიან. დიახ, ავანსად, გვეუბნებიან, გაპიდარასტით და მერე ან მიგიღებთ ევროკავშირში ან არა, მაგრამ ეგ ბედნიერება ხომ შეგრჩებათო.

თამარ შველიძე

„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის გამსვლელი ნაწილისგან ღალატს არ ველოდები

გვესაუბრება ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე:

- ბატონო ზაალ, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ოცეული უკვე ცნობილია. როგორ შეაფასებდით მათ ახალსა თუ ძველ სახეებს?

- „ქართულმა ოცნებამ“ ტრადიციას არ უღალატა და პირველ ოცეულში შეიყვანა სუფთა პოლიტიკური ბიოგრაფიის მქონე ადამიანები, ვისაც ვერავინ ვერაფერს მოედავება. ახალ სახეებს ვგულისხმობ. ჩვენს საზოგადოებაში ეს, გარკვეულწილად, ფასობს. მისასალმებელია, რომ პოლიტიკაში მოდიოდნენ სუფთა ბიოგრაფიის მქონე ადამიანები, პოლიტიკური მიკერძოების გარეშე, და არა ისეთები, როგორიც მაგალითად ნაცმოძრაობას ჰყავს ახალ სახეებად - 4-5 პარტია გამოცვლილი ადამიანები, რომელთაც, შეიძლება ითქვას, არანაირი პრინციპი არ გააჩნიათ! ზოგადი საუბარი რომ არ გამომივიდეს, ავიღოთ თუნდაც არმაზ ახვლედიანი, რომელმაც გაიარა გზა ასლან აბაშიძის „აღორძინებიდან“ ნაციონალურ მოძრაობამდე; იგივე, თამარ კორძაია, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელშეწყობით გახდა დეპუტატი და შემდეგ ნაცმოძრაობაში გადაბარგდა; ასევე სხვები... მისასალმებელია, რაც მეტი პატიოსანი და კონკრეტულ სფეროში წარმატებული ადამიანი იქნება პოლიტიკაში.

მეტნაკლები დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ "ქართული ოცნების" საარჩევნო სიის, ასე ვთქვათ, გამსვლელი ნაწილისგან გვერდზე გახტომა და ღალატი არაა მოსალოდნელი, თუნდაც კრიტიკულ მომენტებში. თუმცა, არის სიის "ქვედა ნაწილი", რომლის დაკომპლექტებაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუნდაც წინა მოწვევის პარლამენტებში "ოცნების" ფრაქციის თავს დამტყდარი კატაკლიზმებიდან გამომდინარე.

ერთი გზა არის, რომ თითქმის უცვლელად შეინარჩუნონ უკვე კონსოლიდირებული, ლოიალური და საქმეში გამოცდილი დეპუტატთა კორპუსი.

მეორე გზაა - ზომიერად გააზავონ სიის ეს ნაწილი ლოიალური და საზოგადოებისთვის მისაღები ახალი სახეებით. მთავარია, მაქსიმალურად გამორიცხონ ან მინიმუმამდე დაიყვანონ იმის საფრთხე, რომ პირველივე "შუხურზე" ზოგიერთი დეპუტატი დაფრთხეს და პარტიას "უგანოს", რაც არაერთხელ მომხდარა.

- სიის პირველი ნომერი ბიძინა ივანიშვილია, რაც იმას ნიშნავს, რომ გამარჯვების შემთხვევაში ის კიდევ ერთხელ ჩაიბარებს პრემიერ-მინისტრის პორტფელს...

- რეალურად ასე გამოდის. ბიძინა ივანიშვილს მუდმივად ადანაშაულებდნენ შიდა თუ გარე ოპონენტები იმაში, რომ ის კულისებიდან მართავს სიტუაციას, ამჯერად კი მართვის ბერკეტი მის ხელში იქნება. თუ „ქართული ოცნება“ არჩევნებს მოიგებს და, დიდი ალბათობით ასეც მოხდება, პრემიერ-მინისტრი გახდება ბიძინა ივანიშვილი. რაც უნდა ილაპარაკონ მასზე, როგორი კამპანიაც უნდა ააგორონ მის წინააღმდეგ, ბიძინა ივანიშვილს აქვს ქართველ საზოგადოებაში გავლენა, ავტორიტეტი, რეიტინგი... არის ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ანგარიშგასაწევი პიროვნება, ვისიც სჯერათ და მზად არიან მას ხმა მისცენ. „ქართულ ოცნებას“ შემთხვევით არ დაუსახელებია ის სიის პირველ ნომრად. გარკვეულ გათვლებსა და კვლევებს ეფუძნება ეს გადაწყვეტილება და არც თვითონ ივანიშვილი დათანხმდებოდა, რომ არ იყოს ამის საფუძველი, რაც საზოგადოების განწყობას ეფუძნება. მე ვფიქრობ, ეს ნაბიჯი „ქართულ ოცნებას“ ისეთი ადამიანების მოზიდვაში დაეხმარება, ვინც დღემდე მერყეობს და ვერ გადაუწყვეტია, ვის მისცეს ხმა.

- ცესკო-ზე ხელის შეშლის უკვე არაერთი შემთხვევა იყო, რაც სავარაუდოდ, კვლავაც გაგრძელდება. აქედანვე იგრძნობა, რომ ჩვენი რადიკალები და მათი პატრონები ძალისხმევას არ დაიშურებენ იმისათვის, რომ არჩევნების შედეგები გაყალბებულად გამოაცხადონ.

-1992 წლიდან არ გამომიტოვებია არც ერთი არჩევნები, არასოდეს გამიფუჭებია საარჩევნო ბიულეტენი, რადგანაც ყოველთვის მქონდა ჩემი არჩევანი და თან არ მსურდა იმ გაფუჭებული ბიულეტენით ვინმეს ესარგებლა.

გარკვეული პერიოდიდან კი არჩევნებში არა მხოლოდ ვმონაწილეობ, არამედ ვაკვირდები და ვაანალიზებ. ამიტომ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არცერთ წინა არჩევნებზე არ დაფიქსირებულა ისეთი სიღრმის ჩარევა, ზემოქმედება, ზეწოლა... როგორც ამ არჩევნებზე. თან ვისგან? - იმ ქვეყნებისგან, რომლებსაც სტრატეგიულ პარტნიორებად და მეგობრებად მივიჩნევთ. ყველაზე საინტერესო და ნიშანდობლივი კი ის არის, რომ ახსნაც კი არ სჭირდება, თუ რატომ იქცევიან ასე, იმდენად ხელისგულზე დევს უკვე მათი ზრახვები და რაც უფრო ახლოვდება არჩევნების დღე, მეტად ხილული ხდება ეს ყველაფერი.

ამჯერად არჩევნებზე ვითომ მიუკერძოებელ დამკვირვებლებად ფიქსირდებიან ჯგუფები, რომელთა ბიოგრაფიების და წინა აქტივობების ზერელე გაცნობაც კი მიგვითითებს, რომ საქმე გვაქვს რადიკალური ოპოზიციის მორიგ მცდელობასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებას შეატყუონ ეს ჯგუფები „დამოუკიდებელ დამკვირვებლებად!“ - არ დაუჯერონთ!

ბოლო დროს ნაწვიმარზე სოკოებივით აღმოცენებული ასეთი ჯგუფებია ნაცმოძრაობის სტაჟიანი აქტივისტის და ფულის შემწირველი ვინმე აკაკი ხუსკივაძის დაჯგუფება „დააკვირდი“; ბოლომდე განაცებული ლომჯარია-გიგაურის პლატფორმა „ჩემი ხმა“ და არჩევნების გაყალბებეში მრავალჯერ მხილებული ნაცმოძის დროინდელი ცესკო-ს თავმჯდომარეების დაჯგუფება „დაიცავი არჩევნები.“ არის სხვა მსგავსი დაჯგუფებებიც, რომლებიც მალე გამოავლენენ საკუთარ თავს.

ისინი ვერანაირი კრიტერიუმით ვერ ჩაითვლებიან ნეიტრალურ დამკვირვებლებად, მათი „დაკვირვება“ იქნება სხვადასხვა სახის პროვოკაციები, დეზინფორმაცია და სხვა მსგავსი ქმედებები საარჩევნო პროცესის დასაზიანებლად.

მე ვკითხავდი ჩვენი „მეგობარი“ ქვეყნების წარმომადგენლებს: ნაცმოძრაობის მიერ ძალადობით და არნახული გაყალბებით ჩატარებულ ყველა არჩევნებს რომ ლეგიტიმურობის ბეჭედს ურტყამდით, ისე რომ წარბიც არ შეგიხრიათ და ხელი არ შეგტოკებიათ, ასჯერ და ათასჯერ უკეთ ორგანიზებულ ამ არჩევნებს რატომ აყენებთ წინასწარ ეჭვის ქვეშ და არალეგიტიმურობის იარლიყს რატომ უმზადებთ?!

რეალურად, ყველაფერი კეთდება წინასწარ გაწერილი სქემის მიხედვით, რათა მაქსიმალურად მოახდინონ არჩევნების დელეგიტიმაცია.

- სუფთა წარსულის მქონე ადამიანებზე გამახსენდა. ნახეთ ალბათ, გიორგი ვაშაძის განცხადება, სადაც ის, ფაქტობრივად, ყოფილ თანაგუნდელებს უპირისპირდება და ამბობს, რომ საკაშვილისა და ადეიშვილისგან განსხვავებით, ის ქვეყნიდან არ გაიქცევა, რადგან არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია. მართლაცდა, რას ვერჩით ამ ვაშაძეს, რა დააშავა?

- საქმე ისე არ არის, რომ თითქოს ვაშაძეს არაფერი ჩაუდენია. ყალბ პირადობის მოწმობებზე, რაც 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნეზე აღმოაჩინეს, როდესაც ჯერ კიდევ ნაცმოძრაობა იყო ხელისუფლებაში, ვინ იღებს პასუხისმგებლობას? გიორგი ვაშაძე იყო მაშინ იუსტიციის მინისტრის მოადგილე და სწორედ ის ხელმძღვანელობდა ამ მიმართულებას. ყველას კარგად გვახსოვს, რომ აღმოჩნდა უამრავი დარღვევა, ერთ სახლში იყო ჩაწერილი 70 და მეტი ადამიანი და იყო გაცემული უამრავი ყალბი პირადობის მოწმობა. ეს შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ აღმოაჩინა, ვაშაძეს კი ყველაფერი ხახვივით შერჩა. მის გარეშე ეს ხომ ვერ მოხდებოდა! გიორგი ვაშაძეს შეიძლება ადამიანების წამებასა და მკვლელობებში არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ სხვა დარღვევებში, როგორიცაა საარჩევნო ფალსიფიკაცია, მისი თანამდებობიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება! ასე რომ, მე მას ვურჩევდი, ნაკლები ილაპარაკოს ამის თაობაზე, რადგან თუ ხელისუფლების ნება იქნება, მათ შეუძლიათ შეახსენონ ვაშაძეს, თუ რა დანაშაული აქვს ჩადენილი.

- რადიკალები საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ქმედებებს აქტიურად განაგრძობენ. ამჯერად, აშშ-ის სენატში ეკა გიგაური გამოვიდა სიტყვით და აღნიშნა, რომ „გამჭვირვალობის კანონის“ მიღებით, ავტოკრატები აძლიერებენ რუსულ გავლენებს საქართველოში და ძირს უთხრიან პარტნიორობას აშშ-სა და ევროპასთან.

- ეკა გიგაურის გამოსვლა სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის მოსმენაზე იყო მორიგი გაგრძელება იმ პროცესის, რასაც თანამედროვე ქართველი „ორჯონიკიძეების“ ქმედება ჰქვია, საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ. ადრე ჩვენ ვიხილეთ კონგრესში ნატო საბანაძის და ვანო ჩხიკვაძის ანალოგიური გამოსვლები, როდესაც ისინი საკუთარი ქვეყნის მიმართ სანქციებს ითხოვდნენ. ეკა გიგაურის გამოსვლა მიმართული იყო იმისკენ, რომ ამერიკელი აუდიტორიის ემოციებზე ემოქმედა, თითქოს საქართველო მართლა რუსეთისკენ მიდის. ეს არის ყალბი ნარატივი, რადგან თვითონ აშშ-ის ორგანიზაციების (რომლებიც, ფაქტობრივად, პარტიული ორგანიზაციებია) „ენდიაის“ და „აირაის“, გამოკითხვებით, საქართველოს მოსახლეობის 79 პროცენტი მიიჩნევს რუსეთს მტრად და დაახლოებით იგივე რაოდენობა მიიჩნევს, რომ რუსეთი არის მთავარი საფრთხე საქართველოსთვის. როგორ ამტკიცებენ, რომ საქართველოში პრორუსული განწყობებია და რის საფუძველზე ამბობენ, რომ შესაძლებელია, საქართველო რუსეთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდეს, როცა მოსახლეობის განწყობები სრულიად საწინააღმდეგოა?! ეს არის სიცრუეზე დაფუძნებული ნარატივი, რითაც ცდილობენ იმოქმედონ დასავლელ პოლიტიკოსებზე და მათ ემოციური სურათი შეასაღონ.



ჩვენ, ანალიტიკოსებმა, რომლებიც ადგილზე ვაკვირდებით სიტუაციას, ვიცით, როგორი განწყობაა საზოგადოებაში! არსებობს პრორუსულად განწყობილი რაღაც ნაწილი, მაგრამ ისინი პოლიტიკურ ამინდს ვერ ქმნიან და ვერც ვერასდროს შექმნიან საქართველოში.

- ბატონო ზაალ, როგორ ახსნით ბიძინა ივანიშვილის მიერ გორში გაკეთებულ განცხადებას, რამაც საზოგადოებაში ხმაური და უკმაყოფილება გამოიწვია: „აუცილებლად გამოვძებნით საკუთარ თავში ძალას, რათა ბოდიში მოვიხადოთ იმის გამო, რომ დავალების შესაბამისად, მოღალატე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2008 წელს ცეცხლის ალში გახვია ჩვენი ოსი დები და ძმები" ?!

-ეს განცხადება ნიშნავს, რომ ხელისუფლებაში დარჩენის შემთხვევაში, „ქართული ოცნება", სადემარკაციო ხაზს იქით დარჩენილ მოსახლეობასთან ნდობის აღსადგენად, გარკვეული ნაბიჯების გადადგმას აპირებს. მე ასე გავიგე. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და თუნდაც ოსების რეინტეგრაციაზე ძალიან ბევრი ფაქტორი მოქმედებს და კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადავდგათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი დარჩება ისე, როგორც არის და შერიგების პერსპექტივაც არ იქნება.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ „ბოდიში“ რადიკალურად შემოაბრუნებს ქართველებისა და ოსების ურთიერთდამოკიდებულებას და კონფლიქტს მოაგვარებს. თუმცა, ჩემი აზრით, ეს ქართველების მხრიდან გადადგმული ერთი პოზიტიური ნაბიჯი იქნებოდა, რამაც საღად მოაზროვნე ოსებში სათანადო შეფასება და დაფასება უნდა გამოიწვიოს.

რატომ დუმან სამშვიდობო საკითხებზე „ომის პარტია“ და მისი განშტოებები, ან კონფლიქტების მოგვარებაზე მომუშავე ის ენჯეობი, რომლებიც ამაში უცხოურ გრანტებს იღებენ?! როგორ უნდათ, რომ პრობლემა ადგილიდან დაძრან? როგორ წარმოუდგენიათ მათ კონფლიქტის მოგვარება, თუ მონაწილე მხარეებმა საკუთარი წილი პასუხისმგებლობა არ აღიარეს?! თუ იმდენად მიეჩვივნენ კომფორტულ "სტატუს ქვოს," რომ ერთი ზედმეტი ნაბიჯის გადადგმა და სიტყვის თქმაც არ უნდათ? შერიგება ხომ შეცდომების აღიარებით და, თუ საჭიროა, ბოდიშის მოხდით იწყება!

მეორე საკითხია - როგორ ბედავენ ამ თემაზე საუბარს ნაცმოძრაობა და მისი ანასხლეტები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ თითქმის უკვე შემორიგებულ ოსებთან კონფლიქტი ხელახლა გაეღვივებინათ! აი ესაა სამარცხვინო!

ნონა ქარქაშაძე

ლიბერალური წესრიგი ჩვენს თვალწინ იშლება!

ადამიანი ფიქრისთვის არის გაჩენილიო. ჰოდა, მეც ვფიქრობ, თუმცა ვერაფრით ამომიხსნია, რა მოხდა, რამ გადაასხვაფერა ადამიანთა აღქმები, განსაკუთრებით ე. წ. ცივილიზებულ ქვეყნებში. ვიფიქრებდი, მეჩვენება-მეთქი, მაგრამ რობერტ კენედი უმცროსიდან დაწყებული, ბოლო მხცოვანი ევროპელით დამთავრებული, რომ იგივეს ამბობს თავის ქვეყანასა და ხალხზე, მაშასადამე, მართლაც ასეა — ახალი ადამიანის გამოყვანის მცდელობა ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ წარმატებით მიმდინარეობს. შესაბამისად, წარმატებით მიმდინარეობს თავმომწონე „პირველი რიგის ქვეყნების“ ადამიანობისგან დაცლა. ადამიანობისა და არაადამიანობის ჭიდილში ხელმეორედ დაიბადა ორსახოვანი იანუსი ახალი სახელით — დემოკრატია.

ისე დამენგრა ზღაპარი საბჭოთა რკინის ფარდისმიღმა არსებულ სიკეთეებზე, თვალის დახამხამება ვერ მოვასწარი... დაანგრიეს საბჭოთა კავშირი, მაგრამ იმხელა „მახინას“ ჩამოშლამ კიდევ სად გამოიწვია ნგრევა, ამაზე ჯერჯერობით დუმს „მეისტორიე“, თუმცა, ნანგრევებში მოყოლილებიდან ვინ როგორ გამოფორთხდება, ამის მომსწრებები უთუოდ ვიქნებით...

გამიზნულად მოშლილი ქართული განათლების უსისტემობამ წარმატებით შვა ისეთი თაობები, რომელთა შესახებაც გიგი თევზაძემ ტრიბუნიდან ნიშნისმოგებით გვითხრა, ისე მოგპარეთ თაობები და აღვზარდეთ როგორებიც გვინდოდა, გამოგეპარათ, ვერ გაიგეთო. როდესაც ამას ამბობს ადამიანი, სოციოლოგი და ფილოსოფოსი, 2006-2014 წლებში ილიას სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, რაგინდ ანტიპათიით იყო განწყობილი მის მიმართ, ცოტა მაინც უნდა დაუჯერო.

არ ცრუობს ბატონი თევზაძე!

გიგი თევზაძის ცინიზმის გარეშეც კარგად ვხედავთ „მოპარულს“. როდესაც გვპარავდნენ, მაშინაც კარგად ვხედავდით და ვყვიროდით, ვინც თვალხილული და სმენადაუხშობლები ვიყავით, მაგრამ კრებსითი თევზაძეების შობილი ე. წ. კოლექტიური დასავლეთის მორევი ჯერ არ იყო დაბადებული...

ქართული სინამდვილისთვის დამანგრეველია როგორც კრებსითი დასავლეთის წინააღმდეგობრივი ხატების არსებობა, ისე რუსეთისა, სრულიად სამეზობლოსი თუ მსოფლიოსი. „ახალი ახალგაზრდა“ კი არა, შვილების გაფეტიშების სიყვარულს ბრმად აყოლილი ასაკოვანი, ჭკუადამჯდარი ადამიანები ჩავარდნენ გაურკვევლობაში, ანალიზის უნარი სრულად მოეშთოთ, ვერ ისიგრძეგანებენ რეალობას — დასავლეთი მხსნელია თუ ეროვნული იდენტობისთვის საფრთხის შემცველი, და არა მხოლოდ ეს.

სწორედ ამიტომ არის, რომ „ახალი ახალგაზრდები“ მათზე გაფანატებული მშობლების თანხლებით, უხილავი სცენარისტის მიერ დაწერილ სცენარს ბრმა ჭუკებივით მიჰყვებიან უხილავი დირიჟორის მიერ ჯოხის აქნევისთანავე და თუ მათსავით „გიგის გაახლებული“ არ არის სხვაც, ბნელეთში ჩარჩენილის იარლიყს აკრავენ.

კატასტროფული მდგომარეობაა!

ახსენა ერთმა აშშ-ზე მოიმედე თვალით მომზირალმა მავნებელმა უსაქმურმა „ვენესუელა“ და აჰყვნენ ხბოს აღტკინებით დანარჩენებიც. ადგილობრივმა „დირიჟორმა“ კარგად იცის, რა „რუსეთუმე ჩიტიცაა“ ვენესუელა, მაგრამ ახლა ასე სჭირდება და ასეთ ჰანგზე უბერავს. ჰანგის უცვლელი ტექსტი დაწერილია, მთავარია, სადმე, დედამიწის რომელიმე კუთხეში რომელიმე არჩევნების შედეგებით ხელისუფლების ლეგიტიმურობა არ ცნონ, გარდა მათი მფარველი მფლობელებისა.

საქმის არსი შემდეგში მდგომარეობს: აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა არ ცნო ვენესუელას არჩევნებში მადუროს გამარჯვება, მის მოწინააღმდეგე, წაგებულ კანდიდატს მიულოცა და ოფიციალური განცხადებით მიმართა ვენესუელელ ხალხს: ახლა დადგა დრო, რომ ვენესუელაში მხარეებმა დაიწყონ დისკუსიები ვენესუელას კანონმდებლობისა და ვენესუელელი ხალხის სურვილების შესაბამისად — პატივისცემით მშვიდობიანი გადაბარების შესახებ.“

ა, რატომ ჭყლოპინობენ და ენაზე რატომ გამოიკრეს „ვენესუელა!“

გგონიათ, მხოლოდ თავისას მიერეკებიან?

საკმაო ხნის დაწყებულია ისეთი მოკლე-მოკლე გზავნილები საქართველოს არსებული ხელისუფლებისა და საქართველოს მოსახლეობის მისამართით, რომლებშიც პწკარებშუა წინსწრებით გარკვევით იკითხება, რომ 26 ოქტომბრის არჩევნები გაყალბდა!

ეს გრანტიყლაპიები, ეს გაუმაძღარი ძღვენიჭამიები, ეს უსამშობლო აგენტურა 26 ოქტომბრისთვის კი არ ემზადება, არამედ 27 ოქტომბრისა და მომდევნო დღეებისთვის — ორი რევოლუციის მცდელობა ჩაუვარდათ, მესამის იმედზე არიან. ჯერ კიდევ როდის თქვა მათმა „გურუმ“, „ამათ არჩევნებით ვერ მოვუგებთო და...“ სწორედ იგივე ტექსტს ელიან კოლექტიური დასავლეთისგან...

„საერთაშორისო საზოგადოება“ რატომ უნდა მიწყვიტავდეს, რა არის სწორი და არასწორი, როდესაც აღნიშნულ საზოგადოებას არაფრით არ მივაჩნივარ მის ტოლსწორად? ვინ არის ის „საერთაშორისო საზოგადოება“ და რანაირად არის საერთაშორისო, როდესაც ჩარაზულ აღვირახსნილ და სისხლისღვრისმოყვარე „უღმერთოთა კლუბში“ საერთო მხოლოდ საერთაშორისო მავნებლობისადმი ლტოლვა აქვთ?

ვერ გავიგე, საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა, ავსტრალია და იაპონია არიან?

კოლექტიურმა დასავლეთმა, უპირველესად, აშშ-მა და შემდგომ ევროკავშირმა და მსგავსმა უსაქმურებმა საკუთარ ღირსებაჩამოფხავებულ ქვეყნებს რომ მიხედონ, არ უნდათ?

ლიბერალურმა გამოცემა „გარდიანმა“ სტატია გამოაქვეყნა სათაურით „ამერიკის რესპუბლიკა ჩვენს თვალწინ იშლება — ამისთვის დემოკრატებმა უნდა გაიზიარონ პასუხისმგებლობა!“

ცხადია, სტატიას წითელ ფონად გასდევს ტრამპის პოლიტიკის კრიტიკა, მაგრამ მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ აშშ-ის იმ რეალურ სახეს ხატავს, რასაც სხვაც ხედავს, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ ამბობს:

„აშშ შევიდა გვიანდელ საბჭოთა ფაზაში.

ქვეყანაში არის გერონტოკრატია. ქვეყანას ხელმძღვანელობენ ავადმყოფი ლიდერები თავისი დომინანტური იდეოლოგიისადმი ნდობის კრიზისით;

ეს არის მქრქალი სხელმწიფო, რომელიც უცხოელების მხრიდან განიცდის დამცირებას, განსაკუთრებით, ავღანეთში;

მისი ეკონომიკა ცდილობს, მაგრამ ძლივს აკმაყოფილებს „მრავალრიცხოვანი“ მოსახლეობის მოთხოვნილებებს;

თუ ჯო ბაიდენი არის ლეონიდ ბრეჟნევი, ან მისი ორი ხანდაზმული მემკვიდრიდან ერთ-ერთი, მაშინ დონალდ ტრამპი არ არის მიხეილ გორბაჩოვი, ის უფრო ამერიკელი ვლადიმირ პუტინია.

ამ წლის დასაწყისში გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამერიკელთა მესამედზე მეტს სჯერა, რომ სამოქალაქო ომი მათ სიცოცხლეშია მოსალოდნელი, ხოლო 13% ამას „ძალიან სავარაუდოდ“ მიიჩნევს.

2021 წელს კანადელმა წამყვანმა პოლიტოლოგმა და ძალადობრივი კონფლიქტების მეცნიერმა გაგვაფრთხილა, რომ ათწლეულების განმავლობაში აშშ-ის დემოკრატიული ინსტიტუტების შესუსტებამ, შეიძლება, 2025 წლისთვის მთელი სისტემის კოლაფსი გამოიწვიოს, რაც შედეგად უკიდურეს ძალადობრივ არასტაბილურობას და მემარჯვენე ტირანიას მოიტანს, რომელიც 2030 წლისთვის გაბატონდება.

ასეთი წინასწარმეტყველებები შეშლილის ნათქვამად ჩანდა მაშინ, მაგრამ ახლა, მხოლოდ სულელურად თვითკმაყოფილი ადამიანი თუ მიიჩნევს ამ აზრს დამაჯერებლობის სფეროს მიღმა არსებულად.

ლიბერალური წესრიგი იშლება. სულ რაღაც მეოთხედი საუკუნის წინათ, ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს, ბევრს ეს ლიბერალური წესრიგი ტყვიაგაუმტარი ეგონა.

დემოკრატიული კულტურა აშშ-ში უფრო ძლიერადაა დანერგილი, ვიდრე უნგრეთში, მაგრამ ტრამპი უფრო დემაგოგია, ვიდრე ორბანი, უფრო ექსტრემალური და მოტივირებული ბაზისით. გარდა ამისა, ის უფრო შურისმაძიებელია, ვიდრე ოდესმე — მის გარემოცვაში მყოფი ზომიერი პირები უკანა პლანზე „ჩააჩოჩეს“.

„საერთაშორისო საზოგადოება“ - რომელზეც ასე ხშირად გვესმის

უზენაეს სასამართლოს აქვს კონსერვატიული უმრავლესობა და ტრამპის საპრეზიდენტო გამარჯვებას ადვილად შეიძლება ახლდეს რესპუბლიკელთა გამარჯვება კონგრესის ორივე პალატაში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასამართლოზე კონტროლი ტრამპის ხელში გადავა.

ტრამპმა კონსტიტუციის გაუქმება და მისი პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრება მოითხოვა და მისი დაპირება, რომ დიქტატორი მხოლოდ „პირველ დღეს“ იქნება, დამშვიდების საფუძვლად ვერ გამოდგება.

ტრამპის მხარდაჭერის ზრდა დემოკრატიული ეკონომიკური პოლიტიკის მარცხიდან გამომდინარე რასისტული რეაქციაა. რესპუბლიკელები დაჟინებით იყენებდნენ და ხელს უწყობდნენ „თეთრ რეაქციას“ 1960-იანი წლების სამოქალაქო უფლებების მოძრაობის შემდეგ.

დემოკრატიული ელიტების სამხედრო წამოწყებები ერაყში, ავღანეთში, ლიბიაში — ხასიათდებოდა სისხლიანი არეულობებით და აშშ-ის საერთაშორისო დამცირებით. ისრაელის გენოციდურ მძვინვარებაში თანამონაწილეობით ბაიდენმა აღაშფოთა და დემოკრატი ამომრჩევლები და მორალურად შეურაცხყო აშშ.

რესპუბლიკელები ენთუზიაზმით არიან განწყობილნი თავიანთი კანდიდატით, დემოკრატები — არა!

როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ „აღმოაჩინა“ კრიზისში მყოფი ზესახელმწიფო როგორც სახლში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ასეა დღეს აშშ-შიც. ტრამპის გამარჯვება ევროპის მზარდ ულტრამემარჯვენე მოძრაობებს გაამხნევებს.

ლიბერალური წესრიგი ჩვენს თვალწინ იშლება!“

ლიბერალური წესრიგი იშლება თუ ლიბერალური უწესრიგობა, საკითხავია...

რაც შეეხება ჯო ბაიდენს, ეს მოხუცი წინ ჰყავთ მოგდებული, თორემ აშშ-ს ხომ ეს კაცი არ მართავს, მართავს მისი ე. წ. გარემოცვა, — ასე რომ, ბაიდენის ასაკი და გამოთაყვანება არაფერ შუაშია. ასევე იქნება ტრამპის შემთხვევაში — ერთპიროვნული მმართველობა, მგონი, მონარქებსაც აღარ აქვთ...

საინტერესოა, რომ ტრამპის პოპულარობა ლათინოამერიკელებში, შავკანიანებსა და ახალგაზრდებში მნიშვნელოვნად იზრდება. ტერაქტის შემდეგ ტრამპი კიდევ უფრო გამოცოცხლდა, მოსახლეობამდე ისეთი პროგრამული გზავნილები მიაქვს, რასაც ამომრჩეველი ითხოვს თავისი ქვეყნის მთავრობისგან: ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანა, საზღვრების ჩაკეტვა, საიმიგრაციო პოლიტიკის მოგვარება, არალეგალი მიგრანტების ქვეყნიდან დაუყოვნებლივი დეპორტირება, უკრაინის ომის დასრულება, ნავთობის ინტენსიური მოპოვება და ა. შ.

ვაი, თქვენს პატრონს, ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვის აირჩევენ აშშ-ში პრეზიდენტად, ჩვენთვის მაინც არავინ არ იქნება! — ასეთია მავანთა შეძახილი.

ნეტამც!

სწორედ ამას ვნატრობ, რომ ჩვენთვის არავინ არ იყოს და ყველამ თავის ფეხმსუბუქ მამიდას მიხედოს!

მას შემდეგ, რაც ჩავწვდი „ამერიკის სულს“, დავიჯერე რუზველტის ნათქვამი, რომ დემოკრატია ხალხის ძალაუფლება კი არა, არამედ ამერიკელი ხალხის ძალაუფლებაა და თავზე ჩამომემხო ბავშვური წარმოდგენები თავისუფლებისა და სამართლიანობის კონტინენტზე.

მე კი დამენგრა ზღაპარი, მაგრამ ლიბერალმა ამერიკელებმა ინაღვლონ, რომ ლიბერალიზმი ცხადში ემხობათ თავზე...

ფაინა რანევსკაიასი არ იყოს, საზოგადოებრივი აზრი კარგია, მაგრამ მე ჩემი აზრები უფრო მომწონს...

მაია ჭელიძე

„ცხელი შეშოდგომის“ მოლოდინში

გვესაუბრება პარტია „ხალხის ძალის“ წევრი პავლე კახიძე

- როგორც ვიცი, ზაფხულის შვებულება ნაყოფიერად გაატარეთ, შრომობდით და თან ისვენებდით...

- ბავშვებთან ერთად ბანაკში ვიყავი გოდერძის უღელტეხილზე, შემდეგ იაპონიაში გავემგზავრე ცოტა ხნით დასასვენებლად. „საზაფხულო ბანაკი გოდერძიზე“ აჭარის განათლების სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტია, რომელიც უკვე მესამე წელია, მიმდინარეობს. ამჯერადაც აჭარის რეგიონში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და ობოლ ბავშვებს, ასევე მრავალშვილიანი ოჯახების შვილებს ჰქონდათ საშუალება, საზაფხულო ბანაკში დაესვენათ, მეგობრები შეეძინათ და ამავე დროს, კულტურულ-სოციალური თვალსაზრისით, განათლებაც მიეღოთ. ეს არის ძალიან კარგი პროექტი იმისათვის, რომ ბავშვი განვითარდეს, უცხო გარემოსთან ადაპტირება ისწავლოს და ასევე, სხვა კუთხით დაინახოს ის საგნები, რასაც სკოლაში ასწავლიან. პროექტმა წელს ბავშვების რამდენიმე ნაკადი მიიღო, ვისთვისაც თითო კვირის განმავლობაში სრულფასოვანი დასვენება იყო შესაძლებელი. მე ლიდერი ვიყავი, რომელსაც ამ ბავშვებზე ზრუნვა და მათთვის კომფორტული გარემოს შექმნა მევალებოდა. გარდა ამისა, დამყავდა ისინი ლაშქრობებზე, ვაწყობდით პოეზიის საღამოებს, გვქონდა დებატები და განხილვები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და დროს საინტერესოდ ვატარებდით.

- დასვენება ახლა ნამდვილად გჭირდებოდათ, რადგან „ცხელ“ შემოდგომას ველოდებით. როგორ ემზადება მმართველი გუნდი არჩევნებისთვის?

- მმართველი გუნდი საუკეთესო ფორმაშია, რაც, ალბათ, 2012 წლის შემდეგ ყოფილა. დელეგატებს და პარტიის პირველ ოცეულს რომ გადავხედოთ, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს არის გუნდი, რომელიც 2024 წლის არჩევნებზე კონსტიტუციურ უმრავლესობას მოიპოვებს. სიის პირველი ნომერი, ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც უამრავი ქველმოქმედება აქვს ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობისთვის გაღებული, უდიდესი გამწევი ძალაა ჩვენთვის და მისი პირველი ნომრად დასახელება კიდევ მეტ მუხტს აძლევს ჩვენს საარჩევნო კამპანიას. ასევე, არ შეიძლება არ გამოვყოთ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები, ლაშა ტალახაძე და გენო პეტრიაშვილი, რომლებიც ჩვენს გუნდს შემოუერთდნენ, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მომღერალი აჩიკო ბერიძე, რომელიც ბათუმისა და ხელვაჩაურის დელეგატად დასახელდა და ა. შ. ძალიან ძლიერი გუნდია, როგორც ახალი, ასევე ძველი და გამოცდილი სახეებით: ირაკლი კობახიძე, ირაკლი ღარიბაშვილი, მიშა ყაველაშვილი, სოზარ სუბარი და ჩვენი ბევრი გამოცდილი ლიდერი კვლავ სიის პირველ ოცეულშია.

- საკმაოდ წარმატებული წელია ჩვენი სპორტსმენებისთვის, რომლებმაც უკვე არაერთხელ გვასახელეს და გაგვახარეს, თუმცა, დიდი სიყვარულისა და დამსახურების მიუხედავად, ზოგიერთი სპორტსმენის პოლიტიკურმა არჩევანმა რადიკალების გულისწყრომა გამოიწვია, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სპორტსმენი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს...

- დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, წელს, როგორც ოლიმპიურ, ასევე პარალიმპიურ შეჯიბრებებში ყველაზე მეტი მედალი მოვიპოვეთ. ეს უკვე იმის მანიშნებელია, თუ როგორ ფორმაშია ქართული სპორტი, იქნება ეს ინდივიდუალური თუ ჯგუფური სახეობა. არ შეიძლება არ გამოვყოთ წელს ჩვენი ფეხბურთელების მიღწევები. უკვე მერამდენედ გაგვახარა ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა! ერთა ლიგაზე ჩვენი გუნდი ექვსი ქულით ლიდერობს და დარწმუნებული ვარ, გვაქვს შანსი, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე გავიდეთ. რაც შეეხება რადიკალების მანიპულაციებს, მე თუ მკითხავთ, როგორც იურისტს, როგორც ადამიანს, რომელიც იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს, ჩემი პასუხი იქნება ასეთი: საქართველოს პარლამენტი არის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, სადაც უნდა იყოს, დიახაც, მომღერალიც, სპორტსმენიც, მოცეკვავეც, იურისტიც და ეკონომისტიც... თუ პოლიტიკოსებად მხოლოდ იმ ადამიანებს მიიჩნევენ, რომლებსაც პოლიტიკის მეცნიერებების ცოდნაზე აქვთ პრეტენზია და პოლიტოლოგები ჰქვიათ, მაშინ პარლამენტში დავსვათ მხოლოდ გია ხუხაშვილი და რამდენიმე ვითომ ექსპერტი და ეგ იქნება! პარლამენტში გვჭირდება კარგი ექიმი, რომელმაც იცის, რა პრობლემები შემოუერთდნენ, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მომღერალი აჩიკო ბერიძე, რომელიც ბათუმისა და ხელვაჩაურის დელეგატად დასახელდა და ა. შ. ძალიან ძლიერი გუნდია, როგორც ახალი, ასევე ძველი და გამოცდილი სახეებით: ირაკლი კობახიძე, ირაკლი ღარიბაშვილი, მიშა ყაველაშვილი, სოზარ სუბარი და ჩვენი ბევრი გამოცდილი ლიდერი კვლავ სიის პირველ ოცეულშია.

- საკმაოდ წარმატებული წელია ჩვენი სპორტსმენებისთვის, რომლებმაც უკვე არაერთხელ გვასახელეს და გაგვახარეს, თუმცა, დიდი სიყვარულისა და დამსახურების მიუხედავად, ზოგიერთი სპორტსმენის პოლიტიკურმა არჩევანმა რადიკალების გულისწყრომა გამოიწვია, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სპორტსმენი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს...

- დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, წელს, როგორც ოლიმპიურ, ასევე პარალიმპიურ შეჯიბრებებში ყველაზე მეტი მედალი მოვიპოვეთ. ეს უკვე იმის მანიშნებელია, თუ როგორ ფორმაშია ქართული სპორტი, იქნება ეს ინდივიდუალური თუ ჯგუფური

- თუმცა ამის გამო ის ბევრმა გააკრიტიკა და თქვა, რომ თუ პრეზიდენტის პოლიტიკურ პოზიციას ემიჯნება, მისგან არც ჯილდო უნდა მიეღო...

- ლაშა ბექაური არის ადამიანი, რომელმაც ორჯერ ოლიმპიადა მოიგო და რომელიც მსოფლიოს აცნობს ჩვენს ქვეყანას. ეს ჯილდო მან პრეზიდენტის ინსტიტუტისგან მიიღო, რომელსაც ამ შემთხვევაში სალომე ზურაბიშვილი წარმოადგენს. პრეზიდენტის ინსტიტუტი კი არის მთელი ქვეყნის და მათ შორის - ლაშა ბექაურის!

- „ნაცმოძრაობამ“ ამომრჩეველს ამჯერად, 14-მილიარდიანი სატყუარა გადმოუგდო. თუმცა, გუნდის ვერცერთი წევრი ვერ განმარტავს, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ეს ფული საიდან უნდა მოიტანონ. ითხოვენ, რომ მხოლოდ „სიტყვაზე ენდონ“...

- ეს არის მორიგი წინასაარჩევნო მანიპულაცია და ტყუილი „ნაცმოძრაობის“ მხრიდან. როგორც წინა არჩევნებზე ჰპირდებოდნენ ხალხს 5000-ლარიან პენსიას, რომელსაც ვერ ასაბუთებდნენ, საიდან უნდა მოეტანათ, ესეც დაახლოებით იმავე ოპერიდან არის. „14“ არ ვიცი, რატომ აირჩიეს, თუ შევატრიალებთ „41“ გამოდის, თუმცა, 14-ს იტყოდნენ თუ 15-ს, ვერცერთს ვერ დაასაბუთებდნენ და შეეძლოთ, 100-იც ეთქვათ. ამ თანხას არც ხაზარაძე და არც კეზერაშვილი საკუთარი ჯიბიდან არ გაიღებს. რაც შეიძლებოდა, რომ გაეკეთებინა ჩვენს ქვეყანას ეკონომიკური თვალსაზრისით - ამას აკეთებს. ისტორიულ მინიმუმზეა დასული უმუშევრობისა და გაჭირვების მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიო ბანკის ახალი მონაცემებით, პირველ ხუთეულშიც შევედით. ქვეყანაში ყველაფერი რომ კარგად არ არის, ამას, რა თქმა უნდა, ჩვენც ვიზიარებთ და ვშრომობთ იმისათვის, რომ ყველაფერი კიდევ უკეთესად იყოს, მაგრამ იქცევა და იღუპება ჩვენი ქვეყანაო, რომ ვთქვათ, ესეც ხომ დიდი უსამართლობა იქნება! ხალხი ჩვენ გარშემო ყველაფერს ხედავს. კარგისა თუ ცუდის შემჩნევა ადამიანის თვალს არ გაუჭირდება.

- როგორ ფიქრობთ, ვინ წერს ოპოზიციის საარჩევნო სტრატეგიას?

- ოპოზიცია თავის საარჩევნო კამპანიას თვითონ რომ არ აკონტროლებს და არც დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს იღებს, არახალია და ამას ჩვენ უკვე შევეგუეთ. რა თქმა უნდა, მათ უცხოელი პარტნიორები უწერენ და ეუბნებიან, რა უნდა გააკეთონ, თორემ დარწმუნებული ვარ, არც ალეკო ელისაშვილს ხიბლავს მამუკა ხაზარაძის გვერდით დგომა და არც პირიქით. ახალი გაერთიანებები ხომ საერთოდ წარმოუდგენელია! მელია ნაცებიდან იმის გამო წამოვიდა, რომ კეზერა არ მომწონს და მას უნდა ვებრძოლოო. ახლა კი იმ ხალხის ფულით აკეთებს პარტიას, რომელსაც კეზერაშვილი აფინანსებს. დარწმუნებული ვარ, არცერთ მათგანს არ ხიბლავს ეს გაერთიანებები, თუმცა, იმდენად უსუსურები არიან, რომ საკუთარი პატრონების წინააღმდეგ ვერ მიდიან. განა იმას ვერ ხვდებიან, რომ მოგების არანაირი შანსი არა აქვთ, მაგრამ მათთვის მთავარია, ფული მიიღონ უცხოეთიდან, რათა არჩევნების შემდეგ არეულობა მოაწყონ. ამისთვის ემზადებიან, ამიტომ სჭირდებათ გაერთიანება, რომ როგორმე მოახერხონ თანხის შემოტანა ჩვენს ქვეყანაში და არჩევნების შემდეგ მაქსიმალურად არიონ სიტუაცია.

- აშშ-იც უმნიშვნელოვანესი არჩევნების წელია. რა შეიძლება შეცვალოს მისმა შედეგებმა მსოფლიო პოლიტიკაში?

- რა თქმა უნდა, აშშ-ის არჩევნების შედეგები და იქ მიმდინარე ცვლილებები უდიდეს გავლენას იქონიებს მსოფლიო პოლიტიკაზე. მოგვწონს თუ არა, აშშ, რუსეთი და ჩინეთი ის ქვეყნებია, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკაში ამინდს ქმნიან. უკვე მეორედ ვნახეთ დონალდ ტრამპის მკვლელობის მცდელობის ფაქტი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში. ამერიკაში პრეზიდენტების მკვლელობა არახალია, მაგრამ ეს ფაქტი უკვე იმაზე მიუთითებს, თუ როგორი შეშინებულები არიან ტრამპის შესაძლო გაპრეზიდენტებით. ვერაფრით დავიჯერებ, რომ ტრამპის გარემოცვას, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე კარგი დაცვა ჰყავს, რომელსაც იცავს ამერიკის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, - ეს გამოეპარა. თან უკვე გაჟონა ინფორმაციამ, რომ წინასწარ იცოდნენ, რაც იგეგმებოდა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ, მაპატიეთ და, მოხუცი და დაჩაჩანაკებული ბაიდენი ტრამპს ვეღარაფრით აჯობებდა, ამიტომაც ბაიდენი ეგრევე ჩააჩოჩეს და კამალა ჰარისი გამოაგორეს. ბაიდენი ხომ რეალურად მმართველი არც არის, აქამდეც ყველაფერს კამალა ჰარისი აკეთებდა.

თუ ტრამპი პრეზიდენტად არ დაბრუნდა, დარჩება იგივე სიტუაცია და მსოფლიოს კარგი არაფერი ელის, რადგან ამერიკა არის ქვეყანა, რომელიც ბევრ რამეს განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკაში. ტრამპის პერიოდი კი იყო დრო, როდესაც მსოფლიოში ომი არ მომხდარა, მოვიდა ბაიდენი და დაიწყო ომები. დონალდ ტრამპის ინტერვიუებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მისთვის მთავარია, რუსეთ-უკრაინის ომი დასრულდეს ისეთი შედეგით, რაც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება. ჩვენ, ზრდასრულმა ადამიანებმა, უნდა გავიაზროთ ის ფაქტი, რომ რუსეთი ყველაფრის გარეშე არ გამოვა უკრაინიდან, თუ რაიმე სარგებელი არ მიიღო. ამდენწლიანი ომი რუსეთს იმისთვის არ უწარმოებია, რომ ქვეყანა ბაიდენსა და ამერიკას ჩააბაროს. რეალისტები უნდა ვიყოთ და ვთქვათ, რომ ეს ვერ მოხდება. ტრამპიც ასეთივე რეალისტია და ამბობს, რომ ომი უნდა დასრულდეს და არ უნდა იხოცებოდნენ ადამიანები! ეს არის სწორი პოლიტიკა და სწორი მიდგომა და არა ის, რომ თითქოს უკრაინის გამარჯვება უნდათ, მაგრამ ამისათვის რეალურად არაფერს აკეთებენ. მხოლოდ ფულის გადარიცხვით, რომელიც კაცმა არ იცის, ვის ჯიბეში ილექება და რას ხმარდება, ომს ვერ მოიგებ!

ნონა ქარქაშაძე

რუბრიკის დღევანდელი სტუმარი გულწრფელობით გამორჩეული, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანია. არაერთხელ უთქვამს: საკუთარი ქვეყნისთვის მანდელაც ვიქნები, განდიც და გიორგი საакაძეცო. იგი საქართველოს ულამაზეს მხარეში — აფხაზეთში დაიბადა. ლაღი ბავშვობა და მოგონებები გულრიფშის რაიონის სოფელ ფშაფში დარჩა. 19 წლისას სოხუმის დატოვება მეუღლესთან, დებთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად მოუხდა. მოგვიანებით სოხუმი დედამაც დატოვა, მამა — დარჩა და მალევე, დახვრიტეს. ამ სულისშემძვრელ ისტორიას მრავალგზის ჩემპიონი ლუკა კურტანიძე პირველად „საერთო გაზეთის“ მკითხველს უამბობს. დიდმა შრომამ გამარჯვებებიც არ დააყოვნა — საქართველოს ჰიმნი მან მსოფლიოს მრავალ სპორტულ დარბაზში არაერთხელ გააჟღერა. 2007 წელს სპორტიდან დიდ პოლიტიკაში აღმოჩნდა. ამჯერად, მისი ნავსაყურელი ბორჯომის ხეობაა. ლუკა კურტანიძე თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ერთადერთი სპორტსმენია, რომელმაც ხუთგზის ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. როგორი იყო აფხაზეთში გატარებული ბავშვობის წლები, სად ვარჯიშობდა (ამ ისტორიასაც „საერთო გაზეთის“ მკითხველი ექსკლუზიურად სწორედ აქ წაიკითხავს), რა გადახდა ჭუბერის უღელტეხილზე, რომელსაც თავად გოლგოთას გზა უწოდა, თავსგადახდენილ ამბებს მოგვიანებით თავად გვიამბობს. მანამდე კი ლუკა კურტანიძე გვიყვება როგორ შემოდგა ფეხი პოლიტიკაში, როგორ გაიცნო ერის კაცი — ბიძინა ივანიშვილი და რა გზა განვლო მასთან ერთად... როგორც თავად ამბობს: მუდმივად ბრძოლაშია. მისთვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, არამედ მხოლოდ ბრძოლის ერთი მონაკვეთი მოიგო. წინ კი 26 ოქტომბრის არჩევნები — გადამწყვეტი ბრძოლაა. პირველ ნაწილში ლუკა კურტანიძე სპორტულ კარიერასა და პოლიტიკაში გადასვლის მიზეზებზე გვესაუბრება:

ჩემთვის ყველაზე დიდი თანამდებობა სამშობლოს ერთგულებაა

სპორტული გზის დასაწყისი

ჩემი პირველი მწვრთნელი სუმბათ ბუიკვლიანი იყო, რომელსაც საოცარი, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. როგორც პედაგოგმა, თავი ძალიან შემაყვარა. მეუბნებოდა, დიდი მოჭიდავე გამოხვალ, თან ქვემძიმე წონაში იჭიდავებო. არადა, მაშინ სულ რაღაც 29-30 კილო თუ ვიქნებოდი. შენობა, სადაც მანმადე სავარჯიშო დარბაზი იყო, მოგვიანებით აფხაზეთის ეკლესიამ დაიბრუნა. ჩვენ კი დაბა აგუძერაში, ბოტანიკურ ბაღში არსებულ შენობაში ვვარჯიშობდით. შემდგომ ჩემი მწვრთნელი ავტორიტეტული პიროვნება შოთა კიკაბიძე იყო, რომელსაც სპორტის ბევრი ოსტატი ჰყავდა გამოზრდილი. მინდოდა, დიდ სპორტს გავყოლოდი, ამიტომ როცა მეცხრე კლასში ვიყავი, ბერძნულ-რომაულიდან თავისუფალი სტილით ჭიდაობაში გადავედი. იმასაც ვიაზრებდი, რომ ჩემი ასაკის სპორტსმენებმა ამ სტილში უკვე დიდ შედეგებს მიაღწიეს. მათზე ოცჯერ მეტს ვშრომობდი, თავს არ ვზოგავდი, რათა ჩემი ასაკის სპორტსმენებს დავწეოდი. ამპარტავნებაში არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ იშვიათი იყო ისეთი სპორტსმენი, ვინც მიზნის მისაღწევად ჩემსავით თავგამოდებით ვარჯიშობდა და ამაში ჩემსავით უდიდეს ენერგიას დებდა.

ხუთგზის ევროპის ჩემპიონი

ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი. სახლში რომ ვბრუნდებოდი, დღიურში ჩანაწერები მქონდა, რა ვარჯიშები უნდა შემესრულებინა. მაგალითად, დღეში ათასჯერ აზიდვას ვაკეთებდი, სამასჯერ ღერძზე აწევას, დღიურში პლუსებს ჩავინიშნავდი და ვიძინებდი. დილაობით ზღვაზე დავრბოდი. ჩემი სახლიდან ზღვა სამ კილომეტრში იყო. მერე ჭის წყალს გადავივლებდი და სკოლაში გავრბოდი. სკოლიდან კი სოხუმში სავარჯიშოდ მივდიოდი, რისთვისაც 25 კილომეტრის გავლა მიწევდა. ასეთი მონდომების შედეგად ზუსტად ორ წელიწადში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდი. მაშინ ძალიან დიდი კონკურენცია იყო. შეჯიბრში მონაწილეობას თხუთმეტი რესპუბლიკიდან უამრავი სპორტსმენი იღებდა. საქართველოს ისტორიაში ერთადერთი სპორტსმენი — მოჭიდავე ვარ, ვისაც ევროპის ჩემპიონატი ხუთჯერ აქვს მოგებული, ორჯერ მსოფლიო ჩემპიონი გავხდი, ასევე, ორჯერ ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, ვეტერანებში მსოფლიო ჩემპიონი ოთხჯერ გავხდი, ერთხელ მსოფლიო თამაშების ჩემპიონი.

დამსხვრეული ოცნებები...

დიდ სპორტში ჩართულობა ტკივილზე ფიქრის საშუალებას არ მაძლევდა. იმდენს ვშრომობდი, რომ ტკივილზე, მამის ტრაგედიაზე, ბავშვობის, აფხაზეთის დაკარგვაზე ფიქრისთვის ნაკლები დრო დამრჩენოდა. მეგონა, დიდ კარიერას რომ დავასრულებდი, ხელისგულზე მატარებდნენ, საშუალება მომეცემოდა, ის საქმე მეკეთებინა, რაც მიყვარდა და მწვრთნელი გავხდებოდი. სამწუხაროდ, ამ პერიოდში ქვეყნის სათავეში ისეთი ხალხი მოვიდა, რომელსაც, თუ არ დამორჩილდებოდი, დაემონებოდი, ავტომატურად მისი მტერი ხდებოდი. პირველად ხმა მაშინ ამოვიღე, როცა სააკაშვილის რეჟიმი ბადრი პატარკაციშვილს დაუპირისპირდა. საქმე ის არის, რომ ბატონი ბადრი დიდი სპორტისთვის ბევრ ქველმოქმედებას ეწეოდა, მერე ოლიმპიურ მოძრაობაშიც ჩაერთო. ამ ყველაფერის გამო ძალიან ვაფასებდი. მან ზვიადაური და ასანიძე ნახევარი მილიონი ლარით დააჯილდოვა. ეს ძალიან დიდი თანხა იყო. მაშინ მსოფლიო ჩემპიონებზე ჯილდო ათი ათასი დოლარი იყო, ხოლო ევროპის ჩემპიონებზე — სამი ათასი. მან პირველმა გაიღო ამხელა თანხა დიდი სპორტისთვის. როცა მას დაუპირისპირდნენ, ვთქვი, რომ ეს ადამიანი დიდ ქველმოქმედებას იჩენს მომავალი თაობებისთვის-მეთქი. მაშინ უკვე ტიტულოვანი სპორტსმენი ვიყავი და ასეთი განცხადება სააკაშვილის რეჟიმთან დაპირისპირებაში ჩამითვალეს. თავიდან, მიშა სახალხო პრეზიდენტი იყო, ეკონომკლასით მგზავრობდა, ხალხთან ერთად დაფრინავდა. ეს საჩვენებელი ტრიუკი აღმოჩნდა. მალევე რეალური სახე გამოაჩინეს და დაუნდობელი მოძალადეები გახდნენ.

რეჟიმთან დაპირისპირება და მოულოდნელად დასრულებული სპორტული კარიერა

2007 წელს გერმანიაში, ალენში გახლდით, როცა პრეზიდენტის კანცელარიიდან დამირეკეს, შეხვედრაზე უნდა მობრძანდეთო. ხუთნოემბერს ჩამოვფრინდი. შეხვედრა 6 ნოემბერს შედგა. მოგეხსენებათ, მაშინ პარლამენტთან მოქალაქეების პროტესტი, აქციები მიმდინარეობდა. ერთადერთი სპორტსმენი ვიყავი, რომელმაც სააკაშვილს ვუთხარი: ბატონო მიხეილ, თქვენ ყველას პრეზიდენტი ხართ და კარგი იქნება, თუ მომიტინგეებს დააფასებთ, მათთან ჩახვალთ და დაელაპარაკებით, ასე სახალხო პრეზიდენტი გახდებით-მეთქი. ეს არ ესიამოვნა. ჟურნალისტებთანაც იგივე გავიმეორე. 7 ნოემბერს ყველამ ვიცით, რაც მოხდა — მან ხალხი დაარბია. პატარკაციშვილის დაკრძალვაზე ვთქვი: საქართველომ დაკარგა ადამიანი, რომელიც მომავალ თაობას დიდ დახმარებას უწევდა-მეთქი, რაც რეჟიმთან დაპირისპირების საფუძველი გახდა. მაშინ პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ვემზადებოდი და რეჟიმმა ყველაფერი გააკეთა, რათა ჩემი კარიერა დასრულებულიყო, უცებ კეთროვანი გავხდი, სახელმწიფო მანქანა მებრძოდა. ის ადამიანებიც დამიპირისპირეს, რომელთან ერთადაც მთელი ცხოვრება გამოვიარე. სავარჯიშო დარბაზში როგორც კეთროვანს, ისე მექცეოდნენ. აფხაზეთის ომის მერე ეს ჩემთვის უდიდესი დარტყმა იყო. სპორტში დარჩენა მინდოდა, მაგრამ იმდენად დამთრგუნეს, საშუალება არ მომცეს, საყვარელი საქმე მეკეთებინა. ლერი ხაბელოვმა მითხრა: ან ბოლომდე უნდა იბრძოლო, ან კაცობა და ყველაფერი გაყიდოო. ამიტომ ვაფასებ ლერის, მასაც დიდი ბრძოლები გადახდა, მერე საქართველოს გაერიდა. მეც გადამთელეს. ჩემპიონის ხელფასი მომიხსნეს და სიმბოლურად ასი ლარი დამიტოვეს. მითხრეს, თუ ბევრს ილაპარაკებ, მაგასაც მოგიხსნითო.

დიდი სპორტიდან დიდ პოლიტიკაში

2010 წელს „სახალხო კრებაში“ გავერთიანდი, სადაც ჩემთვის პატივსაცემი ადამიანები: ნონა გაფრინდაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ესაძე, გოგი ქავთარაძე, ოთარ მელვინეთუხუცესი, სოსო ჯაჭვლიანი, ირაკლი ბათიაშვილი და სხვები იყვნენ. ბედნიერი ვარ, რომ იმ პერიოდში ეს ადამიანები და ჩემი უდიდესი მეგობარი ბატონი ვახტანგ ხარჩილავა გავიცანი. ერთხელ, რეზო ესაძემ მითხრა: ლუკა, შვილო, სამშობლოს რომ ახსენებ, ან მასზე გაიფიქრებ, სულში, გულში რაღაც თუ არ აგემღვრა, ე. ი. ისე ძლიერად არ გიყვარსო. მისი სიტყვები არასდროს დამავიწყდება. ბედნიერი ვარ, რომ ამ ხალხთან ერთად ვიბრძოლე. აქვე, ჩემი წუხილიც მინდა გაგიზიაროთ, დღეს რიგი ადამიანები, რომლებიც მანამდე „ლეიბორისტებში“, მერე „მოქალაქეთა კავშირში“, ნაცებში იყვნენ და დღეს „ქართულ ოცნებაში“ არიან, მე ჭკუას მასწავლიან. ამას ვერ მივიღებ, რადგან ისინი საакაშვილის პლაკატებს რომ აკრავდნენ, მე მიშას რეჟიმს ხმალამოღებული ვებრძოდი. მერე 26 მაისის ტრაგედია გამოვიარეთ, უმოწყალოდ დაგვარბიეს, ხალხი ციხეებში ჩაყარეს, რამდენიმე ადამიანი მოკლეს. 26 მაისს ბრძოლა კი არ დასრულდა, არამედ ეს იყო ბოლო წვეთი, რათა ბრძოლას ახალი ძალა შეჰმატებოდა. მაშინ ვთქვი, რომ შემოდგომაზე აუცილებლად მოვიდოდა ძალა, რომელიც ამ რეჟიმს დაასრულებდა. ამ მოძრაობას სათავეში ის ადამიანი ჩაუდგა, რომელმაც დიდი ხნის განმავლობაში, უდიდესი მადლი დააგროვა თავისი მოქმედებით, სიკეთით. როდესაც ადამიანს სამშობლო ეკარგება (ეს მისი სიტყვებია), მაშინ სხვა ყველაფერი მეათეხარისხოვან ადგილზე ინაცვლებს.

პატრიარქის დარიგება

ამ პერიოდში ბიძინა ივანიშვილზე მითები მესმოდა. ჩემთვის იგი გრაფი მონტე კრისტოსავით იყო. ვიცოდი, რომ სადღაც იყო ქართველი, რომელიც ქვეყნისთვის უამრავ ქველმოქმედებას ეწეოდა, წარმატებულ ადამიანებს ეხმარებოდა. ეს მითი მეგონა. მე, ირაკლი ბათიაშვილი და ნინო ბურჯანაძე 26 მაისის დარბევის მერე, პატრიარქს შევხვდით. მას ვუთხარი: პოლიტიკურ ველზე ვერ ვხედავ ისეთ მოცემულობას, რომ საქართველოში რაიმე შეიცვალოს და მე ფიზიკურად გადავრჩე-მეთქი. ვიცოდი, ამ რეჟიმისგან რაც

მელოდა და პატრიარქს კურთხევა ვთხოვე, რათა მონასტერში წავსულიყავი. მან მითხრა, ლუკა, შენ ჯერ ბევრი გაქვს ერში საბრძოლველი და როცა ამ ბრძოლას დაასრულებ, თუ ღმერთმა ინება, მონასტრის კარი თავისით გაიღებაო. მაშინ ვთქვი, მჯერა, მოვა ძალა, რომელიც ამ რეჟიმს წალეკავს-მეთქი. მერე, რამდენიმე თვით ბორჯომის ხეობაში წავედი, აქაურობას გავერიდე, რადგან ვიცოდი, ცოცხალს არ დამტოვებდნენ. ბორჯომში ტელეფონი დროდადრო გამორთული მქონდა.

იმედი...

ერთხელაც, ოქტომბრის დასაწყისი იყო, ტელეფონი ჩავრთე და ბექა სივსივაძემ დამირეკა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში შემოდისო. ლაპარაკი რომ დავასრულეთ, ყურში ხმაური მესმოდა, ვერ ვიჯერებდი, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში მოდიოდა, კაცი, რომელსაც მთელი საქართველოს გაერთიანება შეეძლო. ვიჯექი და ცრემლები თავისით მომდიოდა, იღვიძებდა იმედი, რომ გადავრჩები. შანსი მომეცა, ვიცოცხლო. ვიცოდი, რომ ბატონი ბიძინა საქართველოს გააერთიანებდა. მაშინ სააკაშვილის რეჟიმის დამარცხება მხოლოდ ივანიშვილს შეეძლო. იმედის ცრემლებით ბევრი ვიტირე. მივხვდი, რომ ბორჯომში ყოფნის ვადა ამოწურული იყო და თბილისში დავბრუნდი.

გელათიდან სამების ტაძრამდე

მერე ივანიშვილს მოქალაქეობა ჩამოართვეს. ამ პერიოდში სოსო ჯაჭვლიანმა დამირეკა, სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს, ბატონი ბიძინას მხარდასაჭერი ღონისძიება უნდა მოვაწყოო. მერაბ შათირიშვილის იდეა იყო, რომ ანდრია პირველწოდებული საიდანაც შემოვიდა საქართველოში, ანუ აჭარიდან სამებამდე, ჯაჭვებით მსვლელობა მოგვეწყო. მე ვუთხარი, რადგან ბიძინა ივანიშვილზეა საუბარი, მისი ქმედებები აღმშენებლობას, სიკეთეს უკავშირდება, საქართველოში კი აღმშენებლობა დავით აღმაშენებელის ეპოქიდან დაიწყო, ამიტომ მსვლელობა გელათიდან დავიწყოთ-მეთქი. ამ იდეის ავტორი მერაბ შათირიშვილი, დაგვთანხმდა. დავითის საფლავზე ფიცი დავდეთ, რომ სიცოცხლის ბოლომდე ვიბრძოლებდით და იქ მივიდოდით, სადაც ივანიშვილმა სამება ააშენა. 24 დეკემბერს აღმაშენებელის საფლავთან მუხლი მოვიდრიკეთ, სანთლები დავანთეთ, ფიცი დავდეთ და ჯაჭვებმობმული სამებისკენ გამოვეშურეთ. ჩვენი მოთხოვნა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნება იყო. ერთი კვირა მოვდიოდით. ქალაქის შემოსასვლელთან, ვეფხისა და მოყმის ძეგლთან ბერა შემოგვხვდა და მხარდაჭერისთვის მადლობა გვითხრა. მერე „ქართული ოცნების“ დამფუძნებლები გავხდით და ბრძოლაში ჩავებით, სხვებივით სააკაშვილის პლაკატებს არ ვაკრავდით. ამას შეგნებულად ვამბობ. მე არავის წინააღმდეგი არ ვარ. ბევრი პოლიტიკოსი, ვინც „ნაცმოძრაობის“ დროს მიშას პლაკატებს აკრავდა, მერე „ქართულ ოცნებაში“ აღმოჩნდა. ხმამაღლა მინდა ვთქვა: ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს. ადამიანებმა სიცოცხლის ფასად იბრძოლეს. ამ დროს გარკვეული ბერკეტები პლაკატების გამკრავების ხელთაა და მათ ნამდვილ მებრძოლებს ათასი სიყალბე დააბრალეს.

იცით, ყველაზე მთავარი რა არის? — მადლი და მისი დაფასება. უმადური ადამიანი ძალიან ცოდოა. მადლი არამარტო იმას ნიშნავს, რაც პირადად განიცადე, არამედ რაც შენს სამშობლოზე სიკეთე გაკეთებულა — ესაა ვალდებულება, ის უდიდესი მადლი, რაც ბიძინა ივანიშვილმა და მისმა სიტყვამ გააჩინა.



გელათიდან სამებამდე გზა ფეხით, ჯაჭვებმობმულებმა სამშობლოსთვის გამოვიარეთ იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი სწორედ სამშობლოსთვის გაიხარჯა. გარდა ამისა, ამ აქციით სიმბოლურად ორი ეპოქა დავაკავშირეთ — დავით აღმაშენებელის და დღევანდელი სამება, რომელიც ერის უდიდესი გადარჩენის ძალაა, რაშიც ბიძინა ივანიშვილის დიდი წვლილია.

დიახ, სამების აღმშენებელმა ადამიანმა გააჩინა იმედი, რითაც შეიძლება მომავალი თაობისთვის დიდი ისტორია შეიქმნას. ეს ორი ბუმბერაზი ადგილი სიცოცხლის ფასად ერთმანეთს დავაკავშირეთ. ეს იყო ამ იდეის დედა-აზრი. ღმერთია მოწმე, რომ ამ აქციის უკან მხოლოდ სამშობლოს გადარჩენის, მადლიერების დაფასების სურვილი იყო. ბიძინა ივანიშვილმა იმდენი ნაბიჯი გადმოდგა თავისი სიკეთეებით, რომ ჩვენ მას ვერაფრით გავუსწრებთ.

ერთგულების ფიცი...

ბოლო დროს, სოსო ჯაჭვლიანს რა აღარ დააბრალეს, ამბობდნენ, მილიონერი გახდაო. ხალხი, რომელიც სააკაშვილთან და მეგის ქარდავასთან ერთად სადღეგრძელოებს სვამდა, დღეს ჭკუას ჩვენ გვასწავლის. ივანიშვილს უდიდესი ავტორიტეტი და უამრავი მადლი აქვს გაკეთებული. მე მის გვერდით ერთგულად ვდგავარ. აუცილებლად მინდა აქვე, ერთი რამ ვთქვა: გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, სოსო ჯაჭვლიანმა დამირეკა, ქრისტეშობამდე თუ მნახავ, კარგი იქნებაო. 6 იანვარს ვესტუმრე, ისე იყო დასუსტებული, „კონცლაგერში“ ნამყოფს ჰგავდა. მითხრა, ლუკა, ამ სენს მალე დავამარცხებ და ფეხზე დავდგები. არჩევნები მოდის, სია ჩამოვწერე, ვისთანაც უნდა მივიდეთ, რომ ვთხოვოთ, ერის კაცს კიდევ ერთხელ გვერდით დავუდგეთ, დამპირდი, რომ მე და შენ ოჯახებს სათითაოდ დავივლითო. სიკვდილს ებრძოდა და ამ დროს ბიძინა ივანიშვილის ერთგულებაზე მელაპარაკებოდა. ამ დეტალებზე პირველად ვსაუბრობ. ხელები გადასხმისგან გალურჯებული ჰქონდა. მარჯვენა ხელს მალავდა. გადავწიე საბანი და სულ დავუკოცნე გაშავებული ხელი. ჩემი მაგალითი, ძმა ხარ-მეთქი, ვუთხარი. რაც სოსომ მითხრა, ბატონ ბიძინასაც ვუამბე. სოსო განიცდიდა, გაბრაზებულმა რაღაცები რომ ილაპარაკა. ამბობდა, ერის კაცისთვის არასდროს მიღალატია და როგორც კი გამოვკეთდები სათითაოდ მოვივლი ოჯახებს და ვთხოვ, ერის კაცს გვერდში დაუდგნენო. სოსო მაგალითია იმისა, რომ მისნაირ მებრძოლებში არიან ერთგული ადამიანები, რომლებიც ივანიშვილისთვის ბოლომდე იბრძოლებენ. სოსოს რასაც დავპირდი, ბოლომდე შევასრულებ. სააკაშვილის პლაკატების გამკვრელები კი, დაე, ფრთხილად იყვნენ.

ბორჯომის ხეობა — სულის მკურნალი

სამი წელია, რაც ბორჯომის ხეობაში ვიმყოფები. ერის კაცთან მუდმივი კომუნიკაცია მაქვს. ჩემთვის ყველაზე დიდი თანამდებობა ერის კაცის ერთგულებაა. მას ახლახან ვუთხარი კავკასიონზეც რომ ვიყო, ბოლომდე თქვენი ერთგული ვიქნები-მეთქი, რასაც საჯაროდ ვაფიქსირებ. სოსოსთვის სიკვდილის წინ მიცემული პირობაც უნდა შევასრულო. ერის კაცს სამშობლოსთვის იმდენი სიკეთე აქვს გაკეთებული, მასთან ვალში ვართ. მის ყოველ ბრძოლაში მოწინავე პოზიციებზე ვიქნები. ვიმეორებ, ყველაზე დიდი თანამდებობა ერის კაცის ერთგულება, უღალატო თანამებრძოლობაა. ამჟამად ეროვნულ ნაკრებს მომზადებაში ვეხმარები. სულიერად მონასტერში, გრიგოლ ხანძთელის ნამოღვაწარ მხარეში, სამცხე ჯავახეთში ვარ, სადაც უდიდეს სითბოს, სიყვარულს ვგრძნობ. წირვა-ლოცვაზე ენით აღუწერელ სითბოს განვიცდი. გრიგოლ ხანძთელის კუთხემ გულში ისე ჩამიკრა, ბედნიერი ვარ. მთელი პლანეტა შემოვიარე და ნამდვილი ნავსაყუდელი აქ, ბორჯომის ხეობაში ვიპოვე. მადლობას ვწირავ ამ ულამაზეს კუთხეს იმ განცდისთვის, რასაც სამი წელია ვგრძნობ. აქ ვემზადებოდი, ვვარჯიშობდი და მერე მთელ მსოფლიოს ვიპყრობდი. სულის, გულის სამკურნალოდ ისევ ბორჯომის ხეობაში დავბრუნდი. ახლა განვლილ ნახევარ საუკუნეს გვერდიდან ვაკვირდები. ვაანალიზებ ყველა ბრძოლას, სპორტულ კარიერაში, თუ პოლიტიკურ ველზე. დროდადრო დედაქალაქში ჩამოვდივარ.

ქვეყანა, ერი, ერისკაცი და მზადება გადამწყვეტი ბრძოლისთვის...

ქვეყანა წინასაარჩევნო ციებცხელებაშია ჩართული, პოლიტიკური პარტიების ნაწილი ისტერიაშია — ზოგი კოალიციური მთავრობის შექმნაზე საუბრობს და პორტფელებს ინაწილებს. ადამიანები თავიანთი ქცევებით გვაკვირვებენ. მართლაც გასაოცარია, როგორ იცვლიან ისინი ფერს, პარტიები კი — სოფლმხედველობას. ვფიქრობ, თავად საზოგადოება მალე მივა იმ დონემდე, რომ ასეთ აშკარად სახეცვლილ პოლიტიკოსებს, პარტიებს საერთოდ უარს ეტყვის და პოლიტიკური ველიდან ალაგმავს. ახლა გარიდების დრო არ არის, ყველა უღალატო თანამებრძოლმა, რა პოზიციებზეც უნდა ვიყოთ, ერისკაცს ძალა უნდა მივცეთ, უნდა გავაძლიეროთ იმიტომ, რომ ის სამშობლოს იმედია. ჩვენ თუ აფხაზეთის დაბრუნებაზე ვლაპარაკობთ, ამ იმედის გამღვივებელი სწორედ ერის კაცია. მე ვიცი მისი ცხოვრების გრაფიკი, მას ყოველი წუთი გათვლილი აქვს, თუ რა უნდა გაკეთდეს ქვეყნისთვის. ის არის ფენომენი, გენია. ბევრი არსება კადრულობს მასზე აუგის თქმას, შეურაცხყოფას. მისი დიდი ადამიანობა, ერის კაცობა წლების მონაპოვარია. ეს ტიტანური შრომით უნდა მოიპოვო. ეს პატარა ადამიანები რით ჩნდებიან ერის კაცთან? — ნაძირლობით და მისი დაკნინებით. მაგალითად, გუბაზ სანიკიძე, ადამიანი რომელიც „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი იყო და ეროვნულობის ნიშა ეკავა, თანაც ასეთი ოჯახის წარმომადენელია, არ მინდა ის ვთქვა, რასაც იმსახურებს, ბედავს და ერის კაცზე აუგად საუბრობს. მისი ნამდვილი სახ ერა ხანია ყველამ დავინახეთ. გუბაზ სანიკიძე გახლავთ ადამიანი, რომელიც ნიკა მელიას სააკაშვილის ერთგულებაში ეჯიბრება, ამ დროს მთელ საქართველოს არწმუნებდა, რომ სააკაშვილი მოღალატე, ქვეყნის დამაქცევარი, ტირანი იყო. ახლა ელისაშვილს შევხედოთ რა ამაზრზენად იქცევა: მთელი პოლიტიკური კარიერის მანძილზე ხაზარაძეს ლანძღავდა, მევახშე, ქვეყნის დამაქცევარიაო და ახლა ქვეყნის გადარჩენაზე ერთად საუბრობენ. ქვეყნის მოღალატე დეკანოიძე კი უძღები შვილივით დაბრუნდა ნაცებში.

პოლიტიკა, ადამიანი, თუ ოჯახი მანამადე იქნება ბინძური, სანამ იგი ამ სიბინძურისგან თავად არ გათავისუფლდება. ამისთვის მრავალი გზა არსებობს, მათ შორის, მონანიება. სინანულში მყოფი შეცდომადანახული ადამიანი ქვეყნისთვის უფრო მეტი სიკეთის მომტანია. მაგრამ როცა ერთ ცოდვას მოინანიებ და მერე ათს ჩაიდენ, ასე არაფერი გამოვა. შეცომა ხელმეორედ აღარ უნდა დაუშვა.

ქართველი ერი დიდი პოტენციალის ერია, ამიტომაც გადარჩა და მჯერა, ასეთ ადამიანებს ადრე თუ გვიან თავის ადგილს მიუჩენს. იმედი მაქვს, ძლიერი საზოგადოება ჩამოყალიბდება. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ბიძინა ივანიშვილი ღვთისგან დალოცვილი ერისკაცია. ამიტომ, „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან მინდა თანამებრძოლებს მივმართო: ძმებო, მეგობრებო, ახლა წყენის დრო არ არის, ერის კაცს ყველანი გვერდით უნდა დავუდგეთ. მე, ალბათ, ჩამონათვალით დავიღლები, იმდენი რამ აქვს სამშობლოსთვის ივანიშვილს გაკეთებული. აბა, ამაში შეეჯიბრონ, თუ მაგრები არიან. ახლა ყველა მის გვერდით უნდა დავდგეთ. მას უნდა, საქართველო გაამთლიანოს, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი დაგვიბრუნოს. მას სამი მთავარი გზავნილი აქვს და ამის ხორცშესხმაში უნდა დავეხმაროთ. როცა საქართველო გამთლიანდება, ეკონომიკურადაც გავძლიერდებით და ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყანა ვიქნებით. მე ღრმად მწამს, რომ ამ ერთიანობით, ამ ძალით ჩვენ მივცემთ ლეგიტიმაციას იმას, რომ საქართველო გამთლიანდეს, რაც თითოეული ჭეშმარიტი სამშობლოსმოყვარული ქართველის ყველაზე დიდი ოცნება და ფიქრია. თუ ამ საქმეში ერის კაცის გვერდით დავდგებით, დარჩენილი ცხოვრება ვიამაყებთ, რომ, როცა სამშობლოს გვერდში დგომა სჭირდებოდა, სადარაჯოზე ჩვენც ვიდექით და მის გამთლიანებაში წვლილი შევიტანეთ. ეს ყველაზე დიდი მიზანია, რაც ადამიანს შეუძლია სამშობლოსთვის გააკეთოს. ეს დრო დადგა, გადამწყვეტი დრო.

თამარ შველიძე

რა უნდა ვიცოდეთ სურსათის უვნებლობის შესახებ და რა არის HACCP-ის ჯგუფების ჩამოყალიბების მიზანი



საბჭოთა დროში სურსათის უვნებლობას რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, უდავოა. მაშინ ადამიანის ჯანმრთელობა სრულად სახელმწიფოს საზრუნავი იყო, რომლის დაცვისთვის არაერთი ინსტიტუტი მუშაობდა და, შესაბამისად, სიცოცხლის ხანგრძლივობაც დღევანდელთან შედარებით უპირატესი იყო.

დრო შეიცვალა, დემოკრატიამ ეკონომიკა თავის ნებაზე მიუშვა და სურსათის უვნებლობაშიც გაჩნდა მნიშვნელოვანი პრობლემები. მათ შორის, არც ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა მზად, აჰყოლოდა ახალი ქცევის წესებს და საკვები პროდუქტები უსაფრთხო გაეხადა.

სურსათის უვნებლობაზე რომ ვფიქრობ, უნებლიედ მადონა კოიძის სატელევიზო გადაცემები მახსენდება, ე. წ. რეიდები, სადაც არაერთხელ იქნა ნაჩვენები ქართულ კაფეებსა და ბარებში გამეფებული ანტისანიტარიის ფაქტები.

„საერთო გაზეთმა“ ამ თემას რამდენიმე სტატიაც მიუძღვნა, რასაც საზოგადოების დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ფაქტია, რომ ადამიანებს ეს პრობლემა აწუხებთ და სახელმწიფოს სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულაციების გამკაცრებას სთხოვენ.

რამდენიმე დღის წინ ამ თემასთან დაკავშირებით **სასტუმრო „აჭარას“** შიდა აუდიტის წარმომადგენელმა ონლაინ სემინარის შესახებ დააანონსა. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, როგორც მოქალაქე, დავინტერესდი და მითითებულ დროს ორსაათიან სემინარს დავესწარი, სადაც თითქმის ყველა საგულისხმო დეტალს ვიმახსოვრებდი.

ვფიქრობ, ჩვენი მკითხველისთვის სურსათის უვნებლობის თემის გარშემო შექმნილი შთაბეჭდილების გაზიარება მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, იურიდიულ ჭრილში. როგორ დავიცვათ ჩვენი უფლებები, იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძენად უხარისხო პროდუქტს გვთავაზობენ.

რა არის სურსათის უვნებლობა

სურსათის უვნებლობა გულისხმობს სურსათით გამოწვეული რისკებისგან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, რაც მთელი რიგი სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებით არის შესაძლებელი. საქართველოში 2021 წლის 1-ელი ივნისიდან **HACCP** - ის სისტემის დანერგვის ვალდებულება დაეკისრა ყველა ბიზნეს ოპერატორს, რომელიც საცალო ვაჭრობის პუნქტში ახორციელებს სურსათის წარმოებას. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ამ ბიზნესით დაკავებულ ადამიანებს არ ექნებათ შემუშავებული **HACCP**-ის სისტემა, შესაძლოა, სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ დაჯარიმდნენ.

რას გულისხმობს აღნიშნული სისტემა? პირველ რიგში, **HACCP**-ის შექმნის ისტორია გვინდა გავიხსენოთ. თავდაპირველად **HACCP**-ი შემუშავდა ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის (**NASA**) ეროვნული სამმართველოს პროგრამისთვის, რომლის მიზანი იყო ხარისხიანი და უსაფრთხო საკვების შექმნა კოსმოსური პროექტებისთვის. მოგვიანებით შემოღებული იქნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის **Codex Alimentarius**-ის კომისიის მიერ, რომელმაც გამოსცა როგორც სტანდარტი **CAC/RCPP1** – 1969. სწორედ ამ სტანდარტის წყალობით მთელ მსოფლიოში ხორციელდება სურსათის უვნებლობის დაცვა.

როგორც სემინარზე აღინიშნა, სპეციალურმა ჯგუფმა საწარმოში უნდა შეიმუშავოს და დაადგინოს შესაძენი პროდუქტის საფრთხის ანალიზი; დაადგინოს კრიტიკული საკონტროლო წერტილები, თუ რამდენად საიმედო საწარმოდან ახდენს პროდუქტის შეძენას და აქვს თუ არა გამყიდველს **GMP** ხარისხი და ა. შ. ცნობისათვის, ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ საწარმოს უნდა გააჩნდეს შესაბამისი საწყობები, სათავსოები, სანიტარულად დამუშავებული იატაკი, ჭერი, კედელი კარ-ფანჯარა, აღჭურვილი ვენტილაციით, განათებებით, საკანალიზაციო სისტემებით და, რაც მთავარია, ჰიგიენის მაღალი ნორმები. თუ საწარმო ამ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, მას **GMP** ხარისხი არ მიენიჭება.

საწარმომ შესყიდვის დროს შემსყიდველისაგან უნდა მოითხოვოს ქართული ეტიკეტი, ვეტერინალური მოწმობა ფორმა -2, უვნებლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, კვლევის ოქმი, ვადა და ა. შ. სურსათის ეროვნული სააგენტო განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ნარჩენების თემასთან დაკავშირებით და მათი რეკომენდაციით, ნარჩენების გატანა ობიექტებიდან უნდა ხდებოდეს დღეში რამდენჯერმე და არა - ერთხელ.

როგორც სემინარზე აღინიშნა, სურსათის ეროვნული სააგენტო აღჭურვილია ყველა უფლებით, მათ შორის, მომხმარებლის განცხადების საფუძველზე მოახდინოს ობიექტის შემოწმება და მიუთითოს დარღვევის გამოსწორების გზებზე. იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე არ გამოასწორებს ხარვეზებს, სააგენტო უფლებამოსილია, დააჯარიმოს კიდეც ფირმის მფლობელი.

სურსათის ეროვნული სააგენტო მოქმედებს **301 და 173** დადგენილებით, რომელიც სურსათის ბიზნესით დაკავებულ მეწარმე სუბიეტებს ავალდებულებს, ზედმიწევნით მიჰყვნენ აღნიშნული დადგენილებების ინსტრუქციას და იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს თანამშრომლების მხრიდან მოხდება გადაცდომა, რეაგირება სამინისტროს მხრიდან იქნება მყისიერი.





როგორ უნდა მოიქცეს მომმხმარებელი, თუ აღმოაჩინა, რომ პროდუქტი ვადაგასულია, ან ესა თუ ის კვების ობიექტი არ იცავს ჰიგიენურ ნორმებს, მას შეუძლია, პირდაპირ მიმართოს საჩივრით სურსათის ეროვნულ სააგენტოს და ასეთის დადასტურების შემთხვევაში, მას წარმოეშობა კომპენსაციის მოთხოვნის უფლებაც.

ჩვენი ჯანმრთელობის დაცვისათვის მნიშვნელოვანია უვნებელი საკვების მოხმარება.სწორედ ამიტომ, როგორც სემინარზე განიმარტა, უკვე კანონმდებლობით, ყველა კომპანია ვალდებულია, საწარმოს შიგნით შექმნას **HACCP** ჯგუფი, რომელიც სურსათის ვარგისიანობის შესამოწმებლად პრევენციულ ზომებს მიიღებს.

ლევან ჭიღლაძე

მეორედაც აიცილა

მსოფლიოს ბედი დღეს ნებისმიერ საღად მოაზროვნე ადამიანს აღელვებს და აინტერესებს, რა გაგრძელება მოჰყვება ჩვენს პლანეტაზე არსებულ ქაოსს. მრავლისმნახველი ექსპერტ-პოლიტოლოგებიც კი დაბნეულები არიან და პროგნოზებისგან თავს იკავებენ.

მრავალჯერ ითქვა, რომ დღეს მსოფლიოში შორსმჭვრეტელი, რეალურად მოაზროვნე პოლიტიკოსების დეფიციტია. ისინი არსებობენ, მაგრამ მათ აზრს ნაკლებად ითვალისწინებენ, რადგან ლიბერალური ფაშიზმის, ომის მსურველები ცდილობენ, ხელთ იგდონ მსოფლიოს ბატონ-პატრონობა.

განსაკუთრებით სავალალოა პროფესიონალური დიპლომატიის უკანა პლანზე გადაწევა, რაც დღევანდელი რეალობაა. სწორედ დიპლომატების მოვალეობაა, ამიტომაც მიაჩნიათ საღად მოაზროვნე ანალიტიკოსებს, რომ მსოფლიო ბირთვული ომის ზღვარზეა. ქიმიური თუ ბირთვული იარაღის გამოყენება თუნდაც ერთი ქვეყნის მიერ, კაცობრიობისთვის დამღუპველი იქნება – ასე მიაჩნიათ ექსპერტ-პოლიტოლოგებს.

როგორ შეიძლება საერთაშორისო პოლიტიკაზე საუბარი, როდესაც მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს და წამყვან ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვითარება უკიდურესად არის დაძაბული. ექსპერტების შეფასებით, ქვეყანაში მდგომარეობა სამოქალაქო ომის ზღვარზეა და, შესაძლოა, ერთმა ნაპერწკალმაც კი გამოიწვიოს ხანძარი. სამწუხაროდ, ამის წინაპირობები ქვეყანაში უკვე არსებობს.

მხოლოდ ორი თვეა გასული, რაც მოხდა თავდასხმა 45-ე პრეზიდენტზე დონალდ ტრამპზე, რომელიც აღნიშნული თანამდებობის დაკავებას დღესაც აპირებს. გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ს საიდუმლო სამსახურის თანამშრომლებმა ფლორიდის შტატში აღკვეთეს უკვე პრეზიდენტობის კანდიდატის დონალდ ტრამპზე თავდასხმის ინციდენტი. სამართალდამცავებმა დაკავეს პიროვნება, რომელიც ცდილობდა გაქცევას, მაგრამ ადგილზე დატოვა ოპტიკური სამიზნით აღჭურვილი შაშხანა სხვადასხვა ნივთმტკიცებებით. შესაძლო თავდამსხმელის ვინაობაც ცნობილია და დეტალებიც სავარაუდოდ მოგვიანებით გახდება ცნობილი, თუ, რა თქმა უნდა, ამას გაასაჯაროებს აშშ-ის საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლობა.

ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, აშშ-ის მოქმედმა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა და ვიცე-პრეზიდენტმა კამალა ჰარისმა სოცქსელებში შეაქქს სპეცსამსახურის საქმიანობა. იქვე აღნიშნეს, რომ აშშ-ში ძალადობის ადგილი არ არის და მოხარულები არიან, რომ დონალდ ტრამპი უვნებლად გადარჩა, რაც ცინიკურად შეაფასეს პოლიტოლოგებმა, რადგან აშშ-ში არაერთი პრეზიდენტია მოკლული, ქვეყნის მეთაურთა მკვლელობის რამდენიმე მცდელობა კი უშედეგოდ დასრულდა. გავიხსენოთ თუნდაც რონალდ რეიგანზე თავდასხმა. მოკლედ რომ ვთქვათ, აშშ უსაფრთხო თურმე არც ქვეყნის მმართველებისთვის ყოფილა.

გასული კვირის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური მოვლენა პრეზიდენტობის კანდიდატების, დემოკრატ კამალა ჰარისისა და რესპუბლიკელი დონალდ ტრამპის ტელედებატები გახლდათ.

პოლიტიკური პაექრობის დაწყებისას ოპონენტებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, რისი ინიციატორიც კამალა ჰარისი იყო. ღონისძიენა საათ-ნახევარი გაგრძელდა. მასზე ნამდვილად არ ღირს ყურადღების გამახვილება, რადგან უშინაარსოდ მიმდინარეობდა. ერთი კი იყო თვალშისაცემი, დემოკრატს რატომღაც ხშირად უშრებოდა პირი, რაც ექსპერტებმა ზედმეტ ნერვიულობას მიაწერეს.

ამის გარდა, დებატების შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კამალა ჰარისის საყურეში უკაბელო მოსასმენი აპარატი იყო ჩამონტაჟებული, რისი მეშვეობითაც მას კარნახობდნენ, რა უნდა ეთქვაო, თუმცა, დემოკრატებმა ინფორმაცია უარყვეს.

აშშ-ის პრესაში დებატების შემდეგ უპირატესობა რატომღაც კამალა ჰარისს მიანიჭეს. ამასთანავე, საუბრობენ, რომ დემოკრატები ყველაფერს გააკეთებენ, რომ პრეზიდენტის პოსტი მათმა თანაპარტიელმა დაიკავოს. ფლორიდაში ტრამპზე აღკვეთილი თავდასხმის შემდეგ ყველაფერია მოსალოდნელი. საერთოდაც, ამერიკელი ექსპერტ-პოლიტოლოგების შეფასებით, საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ში ცირკს ემსგავსება.

ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, რადგან 2016 წელს დებატებში გამარჯვებულად ჰილარი კლინტონი გამოაცხადეს, მაგრამ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდა. ამ ქვეყანაში ხომ „ყველაფერი მოსულა“... აქ საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება — კამალა ჰარისის არაადეკვატური გამონათქვამები, ქცევა და განსაკუთრებით უადგილო კისკისი შეშფოთებას დემოკრატებშიც იწვევს. ვნახოთ...

მსჯელობის მთავარი საგანი გახლავთ უკრაინისთვის გადაცემული შეიარაღების რუსეთის ტერიტორიაზე გამოყენების საკითხი. განსაკუთრებით აქტიურობს ბრიტანეთის ხელისუფლება, რომელიც ითხოვს, რომ უკრაინელებს მოუხსნან შეზღუდვები შორსმოქმედი რადიუსის რაკეტებით რუსეთის ტერიტორიაზე შეტევასთან დაკავშირებით.

ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად, გასულ კვირას, ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრი კირ სტრამერი აშშ-ში ჩავიდა ჯო ბაიდენთან მოსალაპარაკებლად. შეხვედრა ხანგრძლივი გამოდგა. ოფიციალური ინფორმაციით, ქვეყნების მეთაურებმა მსოფლიოში არსებულ საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციაზე და სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრეს, მაგრამ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი უკრაინის მიერ შორი რადიუსის რაკეტების რუსეთის ტერიტორიაზე გამოყენებაზე, მაგრამ კულუარულად აშშ მას მიაწვდის დაზვერვის მონაცემებს, რათა მათი ეფექტიანად გამოყენება შეძლონ.

გამოცემა „ბილდი“ იუწყება, რომ თვის ბოლოს ზელენსკი აშშ-ში ჩასვლას და საკუთარი გეგმის იქ ჩატანას აპირებს.

ბრიტანელებისგან განსხვავებით, უკრაინისთვის ნებართვის მიცემას შორსმოქმედი რადიუსის რაკეტების გამოყენების შესახებ არ ეთანხმებიან გერმანია და იტალია. გამოცემა „ბლუმბერგის“ ინფორმაციით, უახლოეს დღეებში იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯორჯა მელონი თავის ბრიტანელ კოლეგას შეხვდება უკრაინისთვის შეზღუდვების მოხსნის საკითხის განსახილველად.

ამასობაში იტალიის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი მატეო სალვინი წინააღმდეგია შორი მანძილის რადიუსის რაკეტების რუსეთის ტერიტორიაზე გამოყენებაზე შეზღუდვების მიხსნისა. მისი თქმით, მათთვის გადაცემული შეიარაღება მხოლოდ საკუთარ ტერიტორიაზე უნდა გამოიყენონ.

კორუფციულ მაქინაციებში დაადანაშაულა გამოცემა „თაიმსმა“ მათი ქვეყნის ახალი პრემიერი. გაზეთის ინფორმაციით, ლორდთა პალატის წევრი და ბიზნესმენი ვახიდ ალი სტარმერის მეუღლისთვის ყიდულობდა ძვირფას ტანსაცმელს, ფარავდა მის ხარჯებს, როგორც ადრე, ასევე, პრემიერად დანიშვნის შემდეგაც.

მულტიმილიონერი ალი სტარმერის პარტიის ერთ-ერთი დიდი ფინანსური დონორია, ხარჯები კი დეკლარაციაში არ არის ასახული, რაც უკვე დანაშაულია. პრემიერის კანცელარიაში უარი განაცხადეს გახარჯული თანხების დასახელებაზე, მაგრამ გაზეთი იუწყება, რომ საუბარი სოლიდურ თანხებზეა. იქვე მკითხველს შეჰპირდა, რომ ინფორმატორებისგან მალე მოიპოვებს ზუსტ ინფორმაციას.

კვლავ დაძაბული სიტუაციაა ახლო აღმოსავლეთში. გასულ კვირას იემენელმა „ჰუსიტებმა“ ისრაელს ბალისტიკური რაკეტით შეუტიეს. რაკეტამ 2 ათასი კმ უპრობლემოდ გადალახა, აშშ-ისა და ისრაელის ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარები უძლურები აღმოჩნდნენ. იემენელთა იერიშმა ისრაელის მოკავშირეები შეაშფოთა.

აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებამდე თვე-ნახევარია დარჩენილი, მაგრამ ბევრი სენსაციური მოვლენაა მოსალოდნელი ამ მცირე დროში. ამის თქმის საფუძველს იქ არსებული პოლიტიკური სიტუაცია გვაძლევს, რომელსაც ლიბერალური ფაშიზმის მომხრეები წარმართავენ.

გია ბურდული

საქართველო შემოგვყვირის: „გა-მამ-თლი-ა-ნეთ!“

ქვემოთ მოტანილი ინფორმაცია გაეგზავნება ბატონ ბიძინა ივანიშვილს. „საერთო გაზეთში“ იბეჭდება იმ მიზნით, რომ ბატონ ბიძინასთვის გაგზავნილმა ინფორმაციამ ღია წერილის ფუნქციაც შეასრულოს.

ხმამაღლა დაწერილ სათაურში ჩადებული არსის მკითხველამდე მისატანად გამოყენებულია სამი ქვესათაური.

1. როდის დასრულდება საქართველოს დასჯა ორმაგი სტანდარტით?

დავიწყებ იმით, რომ საქართველოს დასჯა და ყოველივე ის რაც უკრაინაში ხდება, ჩვენი „მეგობრების“ რუსეთთან ბრძოლის შემადგენელი ნაწილია. „ოცნება“ არ ხსნის მეორე ფრონტს და არც სხვა ისეთ დავალებებს ასრულებს, რაც საქართველოს დააზიანებს, ამიტომაც ისჯება. დასჯა დასრულდება მაშინ, როდესაც „მეგობრების“ დახმარებით ხელისუფლებას დაიბრუნებს მათი მორჩილი ყოფილი ხელისუფლება, ან როდესაც „ოცნება“ დააყენებს „მეგობრების“ ინტერესებს საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე მაღლა. აწყობს ქართველ ხალხს ისეთი ხელისუფლება, რომელიც საქართველოს ინტერესებზე მაღლა „მეგობრების“ ინტერესებს დააყენებს? საქართველოსავით პატარა სახელმწიფოებში, მოსახლეობის 10-25% შეიძლება დათანხმდეს უცხო ქვეყნის ან ქვეყნების მორჩილებას, კომფორტულად ცხოვრების სანაცვლოდ, მაგრამ მინიმუმ 75% ამაზე წამსვლელი გენეტიკურად არ არის, ვინაიდან სამშობლოს სიყვარული გენებში აქვთ გამჯდარი. აქედან გამომდინარე, საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე მზრუნავი ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლას „მეგობრები“ ვერ შეძლებენ, ამიტომ 2024 წლის არჩევნებს გაყალბებულად გამოაცხადებენ და ფერადი რევოლუციის გამეორებას ეცდებიან. იბადება კითხვა, რატომ იბრძვიან „მეგობრები“ საქართველოს დამორჩილებისათვის, რატომ არ აწყობთ საქართველოს რეალური დამოუკიდებლობა? რუსეთზე ზეწოლის გაძლიერების გამო რომ არ აწყობთ ეს უკვე ავღნიშნეთ, მაგრამ არსებობს მეორე მიზეზიც. ჩვენ ვიცით თუ რა პოზიტიურ როლს ასრულებენ პანამის და სუეცის არხები მრავალი ქვეყნების ეკონომიკაზე. ვინც ამ არხებს გააკონტროლებს, მისთვის სასურველი პოლიტიკური ამინდის ხელოვნურად მოყვანას შეძლებს, ვინაიდან რიგ შემთხვევაში ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკას. რამოდენიმე წელიწადში, ტვირთ-ბრუნვების თვალსაზრისით, საქართველო პანამის და სუეცის არხებზე მნიშვნელოვანი გახდება, ამიტომ რა არის იმაში გასაკვირი, რომ „მეგობრებს“ ამ ქვეყანაში მორჩილი ხელისუფლების დაბრუნება სურდეთ? მორჩილი ხელისუფლების მოყვანისთანავე, საქართველო „მეგობრებისთვის“ დემოკრატიული სახელმწიფოც გახდება და მათი თანასწორობის ღირსიც. ქართველი ხალხის მინიმუმ 75%-ს ასეთი სცენარი, ვფიქრობ არ უნდა აწყობდეს, ამიტომ ხელისუფლებამ და ხალხმა ერთად უნდა მიაღწიონ იმას, რომ „მეგობრებმა“ თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო აღიარონ თანასწორად. როდესაც დამოუკიდებელ საქართველოს აღიარებენ თანასწორად, მაშინ დასრულდება ჩვენი დასჯა ორმაგი სტანდარტით. როდის გვაღიარებენ „მეგობრები“ თანასწორად ამაზეც გვექნება საუბარი, მაგრამ მანამდე ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენო საკუთარ ქვეყანას, „მეგობრების“ დავალებების ბრმად შესრულებით?

2. მხოლოდ რუსეთის აგრესიულობაა იმის მიზეზი, რომ მან 2008 წელს ომი დაიწყო საქართველოსთან, 2022 წელს კი უკრაინასთან?

„მეგობრები“ გვკარნახობენ, რომ ორივე შემთხვევაში მიზეზი რუსეთის აგრესიულობაა და რომ ოკუპანტია. მოსკოვს რომ ჰკითხო, ხარ თუ არ ხარ ოკუპანტიო, გიპასუხებს: „რა სისულელეს მეკითხები, ვერ ხედავ რომ ვარო? ის უნდა გაინტერესებდეს რატომ გავხდი ოკუპანტიო“.

რუსეთის აგრესიულობაში ეჭვის შეტანა სიბრმავის ტოლფასია, მაგრამ თუ არ დავინტერესდით რატომ არის აგრესიული, ესეც სიბრმავეს ნიშნავს. მაგალითად, 2008 წლის ომის წარმოშობის მიზეზი გავიგე ახლობელი ადამიანისგან და მას უსიტყვოდ დავეთანხმე. მინდა თქვენც იცოდეთ რაში დავეთანხმე, ამიტომ მოგიყვებით მის მონაყოლს: „იმ წელს აშშ-ი საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა, პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი მაკკეინი იყო. წინა საარჩევნო კამპანია მან ააწყო რუსეთის აგრესიულობაზე და ამ ქვეყნიდან მომდინარე საფრთხეებზე. მაკკეინს სჭირდებოდა ცხელ-ცხელი მტკიცებულება რუსეთის აგრესიულობაზე, ამიტომ დაავალა სააკაშვილს, ისე მწარედ ებწკინა მოსკოვისთვის, რომ სიმწრისგან აგრესიული გამხდარიყო. სააკაშვილი ასეც მოიქცა. მან იცოდა, რომ სოხუმის ან ცხინვალის მიმართ ძალის ნებისმიერი ფორმით გამოყენებას, მოსკოვის საპასუხო რეაგირება მოყვებოდა. ხოდა სწორედ საპასუხო რეაგირების გამოსაწვევად 7 აგვისტოს ღამით გაითამაშა: „საქართველოს იურისდიქციაში ცხინვალის დაბრუნების ძალისმიერი სცენარი“. მოსკოვის პასუხმაც არ დააყოვნა და 8 აგვისტოს ომი დაიწყო საქართველოსთან. შედეგად მაკკეინმა მიიღო მტკიცებულება რუსეთის აგრესიულობის შესახებ, საქართველომ კი მიიღო ოკუპირებული ტერიტორიები“. ახლა გეკითხებით, მხოლოდ რუსეთის აგრესიულობაა 2008 წლის ომის დაწყების მიზეზი? რას იტყვით იმაზე, რომ სააკაშვილისთვის დავალების მიცემით, მაკკეინი უხეშად ჩაერია საქართველოს საშინაო და საგარეო საქმეებში? არ უნდა ეფიქრა სააკაშვილს, რა საფრთხეში ჩააგდებდა საქართველოს მაკკეინის მოთხოვნის შესრულებით? სამწუხაროდ „მეგობრები“ გვიკრძალავენ ანალიზის გაკეთებას, მხოლოდ საკუთარ ვერსიას გვთავაზობენ: „რუსეთი აგრესორია და მორჩა!“.

მოდით უკრაინის ომის ანალიზიც გავაკეთოთ და დავიწყოთ იმით, რომ რუსეთი აგრესორი და ოკუპანტია. „მეგობრები“ გვეუბნებიან – ნუ დასვამთ კითხვას რატომ არის ასეთიო, მაგრამ ჩვენ მაინც დავსვათ ეს კითხვა.

მოგეხსენებათ, 1991 წელს გორბაჩოვმა საბჭოთა კავშირი გაუქმებულად გამოაცხადა, ანუ მრავალ საუკუნოვანი ისტორიის მქონე დიდი რუსეთი გამოაცხადა დაშლილად. რას იტყოდით ამჟამინდელმა ხელისუფლებამ უარი რომ თქვას აფხაზეთზე და ცხინვალის რეგიონზე? კარგი სიტყვებით არ შეამკობდით ხელისუფლებას, გელათში განსვენებული დავითის ძვლები კი წრიალს დაიწყებდნენ. საბჭოეთის გაუქმებას მაშინ ექნებოდა გამართლება, თუ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს გორბაჩოვის მიერ დახეიბრებულ რუსეთთან ნორმალური, მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობები ექნებოდათ. ძირითადად ასეც არის, რასაც ვერ ვიტყვით ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, საქართველოზე და უკრაინაზე. გორბაჩოვის შემდეგ დახეიბრებულ რუსეთს ტაშ-ფანდურა ელცინი მართავდა და სანამ ის ტაშფანდურობდა „მეგობრებმა“ ცხვრებივით შეყარეს ნატოში აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიისპირეთის ქვეყნები. საქართველომ და უკრაინამაც მოისურვეს ნატოს წევრობა, „მეგობრებმა“ კი ნატოს კარი ღიააო უთხრეს. ამასობაში პუტინი მოვიდა ხელისუფლებაში და იმთავითვე უთხრა „მეგობრებს“: „ვარშავის ხელშეკრულების და ბალტიისპირეთის ქვეყნები ნატოში არ უნდა მიგეღოთ, მაგრამ ამაზე საუბარს რაღა აზრი აქვს, საქართველოს და უკრაინას ნუ უტოვებთ კარს ღიას, ვინაიდან არ დავუშვებ რომ დიდი რუსეთის ყოფილი ტერიტორიებიდან, რაც დარჩა დიდი რუსეთიდან იმასაც საფრთხე დაემუქროს ნატოს სახითო“. „მეგობრები“ პასუხობდნენ: „ქართველ და უკრაინელ ხალხს სურთ ნატოს წევრობა და გახდებიან, ეს დემოკრატიული პროცესიაო“.

ერთი შეხედვით „მეგობრების“ პასუხი სწორია, მაგრამ მაინც გადავამოწმოთ, იძლევა თუ არა დემოკრატია იმის საშუალებას, რომ საქართველო და უკრაინა გახდნენ ნატოს წევრები? საქართველო დღეს ხეიბარია, ვინაიდან მას დაკარგული აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. საქართველო ადრე თუ გვიან რომ გამთლიანდება, ამაში ეჭვის შეტანის უფლებაც კი არ გვაქვს. მინდა დაგისვათ ასეთი კითხვა: „გამთლიანების შემდეგ, დათანხმდება აფხაზეთი ან ცხინვალის რეგიონი გახდეს საქართველო ნატოს წევრი? მოსახლეობის მინიმუმ 75% იტყვის არ დათანხმდებაო. „მეგობრებს „ კი სურთ, რომ გადამწყვეტი სიტყვა დარჩენილ მცირეოდენ პროცენტს ეკუთვნოდეს. სად არის აქ დემოკრატია? ანალოგიური მდგომარეობა იქნება უკრაინაშიც. ომის დასრულების შემდეგ უკრაინაც უნდა გამთლიანდეს და გამთლიანებული უკრაინის რუსულ ენოვანი რეგიონები უარს განაცხადებენ ნატოს წევრობაზე. აქედან გამომდინარე თავად დემოკრატია ეწინააღმდეგება საქართველოს და უკრაინის ნატოს წევრობას. „მეგობრებს“ არ ესწავლებათ, რომ სწორედ დემოკრატია ეწინააღმდეგება საქართველოს და უკრაინის ნატოს წევრობას, ამიტომ სასურველი შედეგის მისაღწევად დემოკრატიაში ორმაგ სტანდარტს ნერგავენ. ორმაგი სტანდარტია ხელისუფლებაში უმცირესობის მოყვანა რევოლუციის გზით. ორმაგი სტანდარტია საქართველოში არ შეიძლებოდეს გამჭვირვალობის კანონის მიღება, მაშინ როდესაც „მეგობრებისთვის“ ანალოგიური კანონი აუცილებელია, ანუ ჩვენ ან ბატებად გვთვლიან ან ცხვრებად. მოსკოვი კი სწორედ იმიტომ შეიჭრა უკრაინაში, რომ ეთქვა „მეგობრებისთვის“ ბატები და ცხვრები თქვენსკენ მოიკითხეთო. რაზე იყო გათვლა? პუტინი იმედოვნებდა, რომ ზელენსკი უარს იტყოდა

ხელისუფლებას ირჩევს ხალხი

და არა უცხოელი „მეგობრები“

ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ მესამე მსოფლიო ომთან ასე ახლოს

დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N31)

რუსეთ-ნატო-ს არაოფიციალური დაპირისპირების ის თვალ-ყურისმადევნებლები, რომელთაც გონება უჭრით, ასეთ კითხვას არც აძლევენ გასაქანს, მაგრამ ნაკლებად გონებაგამჭრიახებისთვის განმარტებასაც რომ არ აქვს აზრი? „ორთოდოქს უკრაინისტებს“ პირადად მე ვერაფერს გავაგებინებ – მომაკრავენ „რუსეთუმეს“ იარლიყს და სულ ეს არის მათი მსჯელობა, ანალიზი და ხედვა...

ამდენი კვირაა, კურსკში მიმდინარე ბრძოლებზეა საუბარი და ათასნაირი ვერსია დახვავდა. რა იქნება შემდეგ, არავინ იცის, არც არავინ ამბობს, რა აზრი დევს კურსკის ერთ პატარა რაიონში შეჭრაში.

ამას ძალიან დიდი დატვირთვა აქვს!

ეს არის ერთგვარი პატარა აქციაგამოხტომა, რომელიც დიდი „ამბით“ უნდა დამთავრდეს. ეს არის ის ნაფიქრი გადაწყვეტილება, რომელსაც ის შედეგი უნდა მოჰყვეს, რასაც ქართული ანდაზა ესადაგება, პწკენა-პწკენაში დედოფალი დაორსულდაო – პუტინის რუსეთს მოთმინების ძაფი უნდა გაუწყდეს. ეს იყო მიზანი 2007 წელსაც, 2014-შიც და და 2022-შიც – წლებს არ აქვს მნიშვნელობა, მიზანი მესამე მსოფლიო ომის დაწყებაა, ოღონდ, ის რუსეთმა უნდა დაიწყოს!

„რატომღაც“ პუტინის რუსეთი არ იქცევა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს დამპყრობელი რუსეთი, რომელიც უკრაინის დასაპყრობად შეკარდა უკრაინაში. არც გაღიზიანებას არ აჟღენს სამხედრო კუთხითა და თიკუნებით დაცინვაზე... ეს აცოფებს იმ ე. წ. დასავლურ ელიტას – რაც უნდა მომხდარიყო, არ ხდება და რანაირადღა გამოიწვიონ, ვეღარ გაუგიათ..

ისტორიაში საგულისხმოდ დარჩენილი და სკოლაში „საბჭოთა კავშირის ისტორიაში“ ნასწავლი ოტო ბისმარკის სიტყვები მე მახსენდება და ნეტავ, მათ რატომ არ აგონდებათ? „არასოდეს ეომოთ რუსეთს, რადგან თქვენს საბრძოლო ეშმაკობას იგი უპასუხებს თავისი წარმოუდგენელი სიბრიყვით (და თქვენ წააგებთ – იგულისხმება) და გაინტერესებთ პოლიტიკის წარმატების საიდუმლო? დადეთ ხელსაყრელი ხელშეკრულება რუსეთთან“ (და თქვენ მოიგებთ – იგულისხმება).

ასე ვთქვათ, გალავჯული დგას რუსეთი და აკონტროლებს სიტუაციას. თუ ოდნავ გადაცდომად ჩათვლის რაიმე ქმედებას, მყისიერად ასწორებს და ისევ არჩეულ პოზაში დგება.

არანაირი მოლაპარაკება არ შედგება, ამაოდ მოუწოდებენ მსოფლიო ლიდერები უკრაინის (აშშ) მხარეს, რადგან მოლაპარაკება და მშვიდობა კი არ არის მიზანი, არამედ რუსეთის წამოწყებული ოფიციალურად გამოცხადებული მესამე მსოფლიო ომის დაწყებაა გამიზნული, თორემ აშშ-ევროპას ისედაც კი აქვს ომი რუსეთთან წამოწყებული.

რატომ არის სასწრაფო და აუცილებელი მესამე მსოფლიო ომი? იმიტომ, რომ 2030 წლამდე დაგეგმილია ძველი მსოფლიოს ახალ მსოფლიოდ გადაწყობა, ე. წ. გრეტრეზეტი – „სსრკ-2.0“

ხალხი არ მიიღებს გრეტრეზეტს, ძნელია მილიონობით ადამიანის ერთი ხელის მოსმით გადასხვაფერება. ამიტომ, ამისათვის საჭიროა სრული ქაოსი მთელ მსოფლიოში, რასაც მშვენივრად შეასრულებს მესამე მსოფლიო ომი – ყველგან ნგრევა, სიკვდილი, სისხლი, შიმშილი...

ასეთი მსოფლიო უბედურებიდან, სავარაუდოდ, ორ წელში, უკანალზე დაუწყებენ კოცნას მას, ვინც დედამიწას მშვიდობას და მომავალ უსაფრთხოებას მოუტანს – ასე გადალაგდებდა ადამიანის ძველი ფასეულობები და ძველ მსოფლიო ნანგრევებზე აღმოცენდება ახალი მსოფლიო ახალი მსოფლმხედველობით, მაგრამ

მანამდე საქმეა გამოსაწყობი, ვიღაცამ ხომ უნდა აიკიდოს ზურგზე ამდენი უბედურება, როგორც ჰიტლერს მოჰკიდეს ზურგზე ფაშიზმის მთელი ტვირთი, რაზეც პასუხი მოეთხოვება?

და აი, პუტინი ვერ „წამოიკიდეს“, რომ ეს ტვირთი წამოჰკიდონ!..

უკრაინელებმა და ევროპელებმა საშვილიშვილოდ უნდა დაუკოცნონ პუტინს ფეხები იმის გამო, რომ იგი ისე არ მოიქცა, როგორც საჭირო იყო, ან უნდა, რომ მოიქცეს ახლაც, რადგან უკვე მათი კვალი აღარ იქნებოდა მიწისზემოთ 2016 წლიდან. არ მოხდა ასე, არ გაცამტვერდა აშშ-ის ომის პარტიის ვასალი ევროპა, რადგან დონალდ ტრამპი გახდა აშშ-ის პრეზიდენტი...

შავ დღეშია პუტინი – თუ ისე მოიქცევა, როგორც დამპყრობელ რუსეთს შეეფერება, მესამე მსოფლიო ომის დამწყები გამოვა, არ იქცევა ასე და სუსტი ჩანს თავის ქვეყანაში, რაც გვარიანად ულახავს სახელსაც და თავმოყვარეობასაც როგორც მას, ისე მთელ ერსაც. ასე ვთქვათ, კუთხეშია მოქცეული ვირთხასავით და გათვლილია სწორედ ასეც – ვირთხა როდესაც გამოუვალ მდგომარეობაშია და გასაქცევი გზა მოჭრილი აქვს, შეტევაზე მაშინ გადადის, სხვა შემთხვევაში პრობლემიდან თავის დაღწევას ცდილობს.

სიძულვილის ენის დაგმობა შემოიტანეს „მოდად“, რეალურად კი პირიქით ხდება, მხოლოდ სიძულვილის თესვაა გარშემო საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი ყველა საშუალებიდან! მე არ მესმის არსაიდან, რომ მშვიდობასა და ურთიერთსიყვარულზე, მეგობრობაზე, სიკეთის კეთებაზე იყოს დიდი წილი აქცენტები...

აქამდე რელიგიათა შორის შუღლი ვიცოდი და კიდევ, კლასობრივი ნიშნით დაპირისპირება, ახლა კი სქესთა შორის დაპირისპირებამდეც კი დავედით ოფიციალურად – ე. წ. გენდერული კანონი სხვა არაფერია...

მეხსიერების ამოშანთვა ცალკე პრობლემაა – ქართველმა აღარ იცის, რა არის ქართველობა, საქართველოს ხელისუფლება კი ვერ უძალიანდება მოზღვავებულ გადამთიელებს ჯეროვნად და რომელი არასებული ქვეყნის სამარცხვინო კანონებს იღებენ საქართველოში, ეშმაკიც ვეღარ იგებს...

რაც ახლა ხდება რუსეთის თავს, ჩვენც გვკრავს დიდწილად კბილს. თორემ რაში ვინაღვლებდი ახლო სამეზობლოში რომ არ იყოს. სხვა მხრივ, სხვა კონტინენტებზე ომებით ხელის მოთბობა ხომ აშშ-ის სამხედრო და ფარმაცევტული ინდუსტრიის ხელწერაა...

მოკლედ, ახალი ადამიანებით ახალი მსოფლიოს აშენება როცა მთელი მსოფლიო დანგრეულია, ძალზე რთულია, მსოფლიო ნგრევა არ არის მიზანი, ამიტომ ატომური ომი, წესით, არ იქნება!

1997 წელს ზბიგნევ ბჟეზინსკიმ თავის წიგნში „დიდი საჭადრაკო დაფა“, რომელიც „ამერიკის თავებისთვის“ განკუთვნილი რჩევებით იყო სავსე, რაც აშშ-ის მსოფლიოზე ბატონობას მაქსიმალურად გაახანგრძლივებდა, ჩაწერა: „კომუნიზმზე გამარჯვების შემდეგ ჩვენთვის მნიშვნელოვანია მართლმადიდებლობის გახლეჩვა და რუსეთის დაცემა. ამაში ჩვენ დაგვეხმარება უკრაინა, სადაც საზოგადოების მორალში ღალატი ნორმად ითვლება“, – ეს ისე...

მაია ჭელიძე

ნატოს წევრობაზე და ამით ომსაც აიცილებდა თავიდან. ზელენსკი სწორედ ამის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ როგორც არახამიამ აღიარა, ბორის ჯონსონმა დაგვავალა გვებრძოლა გამარჯვებამდეო, ანუ „მეგობრებმა“ შეახსენეს ზელენსკის თუ ვინ მოიყვანა ის ხელისუფლებაში და ვის ბრძანებებს უნდა ასრულებდეს. ახლა გეკითხებით, მხოლოდ რუსეთის აგრესიულობაა იმის მიზეზი რაც უკრაინაში ხდება, თუ „მეგობრების“ ხელიც გამიზნულად ურევია იმაში, რომ ერთი ფუძის მქონე უკრაინელები და რუსები ერთმანეთს ანადგურებენ? შეიძლება უკრაინელებმა თქვან, რუსებთან ერთი ფუძე არ გვაქვსო, ამიტომ შევახსენებ მათ, რომ რუსეთის სახელმწიფოს კაპიტალურ მშენებლობას, კიევის რუსეთმა ჩაუყარა საფუძველი. ტრამპის გაპრეზიდენტების შემთხვევაში უკრაინის ომიც შეწყდება და დემოკრატიის ორმაგი სტანდარტით დაბინძურებაც დასრულდება, მაგრამ ტრამპი ან გახდება პრეზიდენტი ან არა, და რომც გახდეს ის ხომ მუდმივად ვერ დარჩება პრეზიდენტის თანამდებობაზე? ორმაგი სტანდარტი სხვა გზით უნდა დავძლიოთ, **საქართველოს გამთლიანების გზით**. საქართველოს გამთლიანების შემდეგ, „მეგობრები“ ვერც ორმაგი სტანდარტით დაგვსჯიან და თანასწორადაც აღგვიქვამენ, მაგრამ ვინაიდან ერთ თვეში 2024 წლის არჩევნებია, ჯერ იმ ზეწოლას უნდა გავუძლოთ, რომელიც სწორედ „მეგობრებიდან“ წამოვა.

მოსალოდნელ ზეწოლასთან დაკავშირებით მინდა გაგაცნოთ იგივე ახლობლის აზრი, ვინც მაკკეინის ამბავი მომიყვა. აი რას ამბობს ეს პიროვნება: **„თუ 2024 წლის არჩევნებზე ხელისუფლება გაუძლებს იმ ზეწოლას, რომელიც იწარმოებს შიგნიდანაც და გარედანაც, საქართველო აღმავლობის გზაზე აღმოჩნდება და ისეთ წარმატებას მიაღწევს, როგორიც არასოდეს ჰქონია მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. თუ ვერ გაუძლებს საქართველო აღმოჩნდება წუმპეში და დიდხანს ვერ დააღწევს თავს ამ წუმპეს“**. მე ვეთანხმები ჩემი ახლობლის ამ მოსაზრებას. დავუმატებ მხოლოდ იმას, რომ სანამ საქართველოს არ გავამთლიანებთ, ვერც ორმაგი სტანდარტით დასჯას ავიცილებთ თავიდან და არც თანასწორობის ღირსად მიგვიჩნევენ ჩვენი „მეგობრები“. იმედია გინდათ, რომ სიტყვა ჩვენი „მეგობრები“ დაიწეროს ბრჭყალების გარეშე ანუ ასე - ჩვენი მეგობრები. ამისათვის საქართველო უნდა გავამთლიანოთ და რაც შეიძლება მალე.

3. ვინ უნდა დაიწყოს საქართველოს გამთლიანების პროცესი და ვინ უნდა უხელმძღვანელოს ამ პროცესს?

მშვიდობას გაერო უნდა იცავდეს, კონფლიქტებსაც გაერო უნდა არეგულირებდეს, მაგრამ ვერ აკეთებს ამას. დაარეგულირა დიტერ ბოდენმა საქართველოს კონფლიქტები? ვერ დაარეგულირა. ამიტომ, ვინაიდან საქართველომ დაკარგა ტერიტორიები მანვე უნდა იაქტიუროს, მაგრამ ხელისუფლება ვალშია „მეგობრებთან“. დაუკვირდით რა ხშირად გვახსენებენ: „ხუთნახევარი მილიარდით დავეხმარეთ საქართველოს!“-ო, ამით ხომ პირდაპირ გვეუბნებიან: „ვალში ხართ!“-ო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ არ უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც მათ არ აწყობთ. მაგალითად, საქართველოს გამთლიანების შემთხვევაში, თავად დემოკრატია არ დაუშვებს საქართველოს ნატო-ს წევრობას. არჩევანი ნატოს და საქართველოს მთლიანობას შორის ქართველმა (თუ სულიერადაც ქართველია) საქართველოს მთლიანობის სასარგებლოდ უნდა გააკეთოს. სწორედ ამიტომ „მეგობრებთან“ ვალში მყოფი ხელისუფლება იძულებული ხდება თავი აარიდოს სწორ არჩევანს. აი, ასეთია რეალობა, და ეს რეალობა საქართველოს სასიკეთოთ რომ შემოვაბრუნოთ, ამისთვის საქართველოს გამთლიანების ინიციატივით უნდა გამოვიდეს არა ვალში მყოფი ხელისუფლება, არამედ ვიღაცა „სხვა“, ვისაც „მეგობრების“ ვალი არ გააჩნია.

პარადოქსია, მაგრამ ხელისუფლებას, რომელსაც გულწრფელად სურს საქართველოს გამთლიანება, იმ „ვიღაცამ“ უნდა თხოვოს: „საქართველოს გამთლიანების პროცესს ვიწყებ და ჩაერთე ამ პროცესშიო“. ამ ვიღაცამ სოხუმსაც და ცხინვალსაც უნდა სთხოვოს საქართველოს გამთლიანების პროცესში ჩართვა. დიდი ალბათობით, სოხუმი და ცხინვალი მოსკოვის ჩართვასაც მოითხოვენ ამ პროცესში. თბილისი სავარაუდოდ ვაშინგტონის ჩართვას მოითხოვს და შედეგად შეიქმნება ხუთეულის ფორმატი: თბილისის, სოხუმის, ცხინვალის, ვაშინგტონის და მოსკოვის შემადგენლობით. სწორედ ეს ხუთეული იმუშავებს საქართველოს გამთლიანების საკითხზე. მუშაობის პროცესს უხელმძღვანელებს და თავადაც იმუშავებს ხუთეულთან ერთად ის ვიღაცა. მუშაობა იწარმოებს თანმიმდევრობით: თბილისში, სოხუმში და ცხინვალში. საქართველოს გამთლიანებას დასჭირდება მაქსიმუმ 24 რაუნდი. ამ ვიღაცის ფუნქციის შესასრულებლად 2015 წელს დავარეგისტრირე - „მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევის ცენტრი“. ასე იმიტომ დავარქვი, რომ მშვიდობას საფუძვლად თანასწორობა უდევს და საქართველოს გამთლიანებასაც: თბილისის, სოხუმის და ცხინვალის თანასწორობა სჭირდება. ამ ცენტრის სახელით ვუგზავნიდი ხელისუფლებას წერილებს, ვაქვეყნებდი ჩემს მოსაზრებებს გაზეთში, ვხვდებოდი კონკრეტულ პირებს და ყველა შემთხვევაში ვუყვებოდი მათ იმ ზღაპრებს, რასაც ახლა გიყვებით თქვენ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თუ ცენტრმა იმის გაკეთება ვერ შეძლო რაც ჩამოვთვალე, გამოდის წლების მანძილზე ზღაპრებს ვწერდი, ამიტომ მართლაც დავწერე საქართველოს 21-ე საუკუნის ნამდვილი ზღაპარი, რომელიც გამოქვეყნდება „საერთო გაზეთის“ 25 სექტემბრის ნომერში. მას დავარქვი „რადარიდან გამქრალი თვითმფრინავი“. ზღაპარში ყველაფრის თქმა შეიძლება, ამიტომ იქ პირდაპირ ვამბობ, თუ რა მაკლია იმისთვის, რომ გაუთავებელი წერიდან საქმის კეთებაზე გადავიდე.

როლანდ ნიკოლაიშვილი

რომანი პროტოიბერიელების ეთნოგენეზისზე



ბჟამორინელი ქართულად განთიადია, აისი, ცისკარი და ასე შემდეგ, მაგრამ მისი მნიშვნელობა კიდევ მეტს გულისხმობს, ვიდრე ზედაპირზე ჩანს, ვიდრე მზის ამოხდომის სემანტიკაა, ის უკუნეთით, წკვარამი სიბნელით მოსილი რაიმეს ან ვიმბეს გასხივოსნებასაც ნიშნავს და მისი ფესვები გაცილებით შორს მიდის, ბუდა შაკია მუნთან ასოცირდება, რომელიც შესაძლოა პიროვნული სრულყოდილების იდენტურიცაა ამავდროულად. ეს იგივე ტელარული ცნებაა, ფიზიკური პროცესი, როცა ერთ რაიმე ჩარუხებულ საგანს შუქი მოადგება და მისი ჩაყურსული არეები სააშკარაოზა ამოტივტივდება; მაგრამ როგორი ვითარებაა მზეშემომდგარი პირვნების სუმტრატი, რა ასულდგმულებს და ამიძრავებს მას, როგორც ეს ჩინებული პოეტისა და აწ რომანისტის, ჩემი უმცროსი სულიერი ძმის, გია ჯიჭონაიას თხზულების მიხედვით ცნობიერდება, მთავარი გმირი, მთავარი გამტამაშებელი ბესიკ ხარანაულისებურად. თოხმის სიმინდის ყანას დილაუთენია, ჯერაც ბნელობიდან, ეს ყანა რიგითი სულაც არ არის. მას გაცილებით ფართო მნიშვნელობა ენიჭება, ვინემ ჩვეულებრივი გამარგვლა და მოროდი, იგი ადამიანური საზრისის, კაცობრიული ცნობიერების მამითადია და ხელისგულზე დაიდება მწერლის მიზანდასახულობა — აჰა, გამოროდებულია ყანობი, განცალკევებულია ერთმანეთისაგან ღვარძლი და ხორბალი, აწ მარადისში გადასვლა სულაც არ არის ძნელი, მთავარი მიღწეულია: მზე შინა და მზე გარეთა ერთ ჭურჭელში ბინადრობს, ერთ წერტილშია ფოკუსირებული, რომელსაც ამ შენთხვევაში მოზარდის გონებიდან უცოდნრობის, სარეველას აკაფვის მისია დაკისრებია. რომანის ქარგა თითქოს ბელეტრისტიკაში აქამდეც განცდილი თემების წრეში ტრიალებს: ეს იგივე ჯოისის სტივენ დედალოსის ასპარეზია ან ჯონ აპდაიკის „კენტავრის" მასწავლებელი მამის წვივს გამობმული ქაღალდის თვითმსფინავი კალმისტრის წვერით, მაგრამ სულ სხვა გეგმილია დაპროექტებული გია ჯიჭონაიას რომანში, აქ ხომ ჯოგო პაიმცემული, ჯოგო ფილაფოზი ფილოლოგიურ ექსკურსებს არ იშურებს თავისი აღსაზრდელებისადმი და იმდენად არის დაჭიმული ეს სივრცე კათედრალური სიტუაციებით, ანუ გაკვეთილებით, ადგილი არ რჩება სხვა ტრივიალური სცენებისათვის, როგორიცაა: ყოფითობა, საორღობე ცხოვრება.

თავოდან გამაღიზიანებლად რომ მონაკადებს ეს დიდაქტიკური დოქტრუინა, ანუ ქართველი კაცის ეთნოგენეზისის შორეულზე შორეული ეტიმოლოგიური ნათელფენა, ცხადი ხდება ერთი ეჭვმიუტანელი რეალობა — მართლაცდა, რა შემაძრწუნებლად უშველებელი და მძლეთასმძლე ყოფილა ჩვენი პროტოიბერიული სული, რომელსაც 12, 10, 8, 6, 4... ათასწლეულია კაფავენ დღემდე და ვერაფრით გაუკაფავთ (**„ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე საქართველოს საოცნებო გზები, გრძელი, როგორც ჩვენი მრავალჟამიერი, ხვავრიელი, როგორც პურის ძნები. ვძებნე, ვძებნე, ვერ მოვძებნე ოცნებაში დახატული მოყმე, მინდა, ვიყო თავანკარა გაზაფხული, ჩემი მიწის სადღეგრძელოდ მოვკვდე. მუმხლი მუხას ეხვეოდა, ყორანივით დაგვყიოდა მტერი, კაფეს, კაფეს, ვერ გაკაფეს ეჭვებივით ჩახლართული ტევრი. ლეწეს, ლეწეს, ვერ დალეწეს, განა მართლა თავზე ჩემოგვექცა ვარკვლავების ჩიხტიკოპით დახურული, საქართველოს მადლიანი ზეცა. მინდა, ვიყო გმირი თინა წავკისელი, შორი გზიდან მიყიოდეს მოყმე, ვიყო მისთვის თავანკარა გაზაფხული, ჩემი მიწის სიცოცხლისთვის მოვკვდე"**, მედეა კახიძე).

ჰო, ათასწლეულებია მიზანმიმართულად კლავენ უთანასწორო ომებში ჩვენს ხორბლისფერ ეთნოსს და ვერ მოუკლავთ. ჰო, ამ უთანასწორო ოღთაბრძოლაში დატყვევნილ, ცნობიერი კაცობრიობის ლოცმან ხალხს პირწმინდად ღადრავენ ყელთ, ათასობით, ათიათასობით, ოღონდ მხოილოდ მამრს, მასკულინუმ სქესისას, მდედრს კი თავიანთი ავხორცი ვნების საჯირითოდ იტოვენებენ და მსოფლიო სამარხები — ერთი როკ ჯგუფის სახელისა არ იყოს — „ელეფანს მემორი" — სპილოების სამარხი, გავსებულია პროტოიბერუყლი ძვლოვანი სისტემებით, რომ არა ეს კაცობრიული არმატურა, ეს ძვლის ღეროვანი კაცობრიული ფოლადი პროტროიბერიული სულისა, დედამიწა მყისვე დაიშლებოდა მარტივ მამრავლებად, მარტივ ბურთულებად ვერცხლისწყალივით, სიმაღლიდან დავარდნისას. რომელიც G გენის მატარებელია, ყველაგან განსხვავებული და ყველააფრის საფუძველთა საფუძველი, ეტალონივით, ასარწყავი უცდომელი საწყაო. ეს G გენი განსაკუთრებით ევროპის ტერიტორიაზე, ხმალთაშუა ზღვის აუზშია ლოკალიზებული დღემდე აღმოჩენილი მასალებით და მეტნაკლებად განფენილი დანარჩენ მსოფლიოში; მაგრამ ისიც საკითხავია, თუ რა შეიძლება განაპირობებდეს პროტოიბერიელების თვალშეუდგამ მიღწევებს ნებისმიერი მიმართულებით, და რის გამო ვერ იცავენ ისინი თავიანთ სულიერ თუ მატერიალურ ფასეულობებს.

მაგავსი კითხვებისთვის თავს ნაკლებად იწუხებს გია ჯიჭონაიას რომანის გმირი ჯოგო და მისი მოწაფეები, იგი აგროვებს ქვებს, ახვავებს ინფორმაციულ ნაკადს მათი განბნევისთვის, თანაც იმნაირი დინამიური დიალოგით, სადაც მასალის წარმოჩენისას ერთდროულად მონაწილეობენ ერთის მხრივ — ოსტატი ჯოგო და მეორეს მხრივ შეგირდები, მისი მოწაფენი.

ვამბობ, თითქოს დიდაქტიკური მიმართების რომანია-მეთქი, სადაც სანთლითაც მქრალად იპოვი სასიყვარულო სცენებს მრავალგზის ნაცადი სამკუთხედებით, სოფლის იდილიურ სურათებს; ინტრიგების ხლართების გახსნაც ნაკლებად მოუწევს გონებით მის ლაბირინთებში შელალულ მკითხველს, მაგრამ აქ დაუმცხრალი გაკვეთილებია, თანაც ეს გაკვეთილები მხოლოდ ფილოლოგიური მისტიკურსითაა მოხმობილი, მხოლოდ ისტორიოგრაფიული მიზანდასახულობით და სკოლის არეალზე თუ მიდგება მსჯელობა, აქ საერთოდ გამორიცხულია ნებისმიერი საპროგრამო დისციპლინა: ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, ბიოლოგია, თავთავიანთი განშტოებებით. აღარ სცალიათ ჯოგოს შეგირდებს და თავად ჯოგოს მსგავსი ლირიკული გადახვევებისთვის, მსგავსი წუთშესვენებისთვის, აქ პროტპოიბერიული ეთნოგენეზისის თემა მოედინება ვულკანიდან ამოფრქვეულ მაგმასავით; აქ ვერბალურ არქეოლოგიასთან გვაქს საქმეს სადაც გია ჯოჭონაია შლიმანის დარად ტროას ქალაქ სახელმწიფოს ეძებს იდას მთის მიდამოებში და ბარის პირველ დაკვრის უმალ პოულობს მას. გახსნილად თუ ვიტყცვით, იგი პოულობს არა ყოფით საორღობო არტეფაქტებს, არამედ არსებითს, ბგერაში დატყვევნილ ფერებს და სახეებს, ვაჟა-ფშაველს თქმულის თანხვედრაში: **„რაც იმ ერთ ღამეს მომხდარა, შეუმახია ჰაერსა"**, ანუ რაც პროტოიბერიელების მრავალათასწლეულის განმავლობაში მარათონულ გენოციდებში ჩახისტულა, ყველაფერი აქ, ამ „ბჟამორინელ" რომანშია გაცხადებული ანით ჰოემდე.

თითქოს წიგნიერ მასალაზეა აგებული გია ჯიჭონაიას პირველი რომანი; თითქოს ჰუმბოლდტის, ბლუმენბახის, ზვიად გამსახურდიას საზრისიდანაა გადმოღებული, მაგრამ ეს ყველაფერი ერთ მხატვრულ გარემოში, უყრის თავს მყიფე საგნების გასალღობად თუ ასაბრიალებლად მზის მობევრებისას (მოდგომისას), ავტორი აღწევს ატომური ემერგიის მნიშვნელობის ფაქტის დაზოდვას, ლამის მთელი კაცობრიობის დამშოკავი თვალწინმდებარე საიდუმლოს გააშკარავებას, რომ რაც კი მატერიალური ფასეულობა დაგროვილა მსოფლიოში, ყველაფერი პროტოიბერიულია (დენთიც კი, რადგანაც მომდინარეობს ატლანტიდის ცივილიზაციის დაქცევის წყარო — ხე-მცენარე Fistacia atlattiks-ს ენერტიუკული მასალის ფეთქებადობისგან), თუნდაც დიალოგის გარემოში მოქცეულა მკითხველისათვის, ლინზასავით ერთ ფოკუსში თავმოყრა რომ სჩვევია როგორც წაქცეული მუხის ადგილას აღმოცენებულ ნერგებს, ჯიშჯილაგს მისას.

გია ჯიჭონაიას წიგნმა შეასრულა კოლოსალური მისიის დაგვირგვინება, როცა პროტოიბერიულ ეთნოგენეზისზე საქარავნე მასალის ხერხემლად მოუძებნა ეს თემატიკა, მასწავლებელ-მოსწავლეთა დიალოგის სახით და დააყუდნა იგი ჯადოსნურ მთასავით წიგნიერი კაცობრიობის თავის სამტვრევად: „ნუთუ ჩვენ, დანარჩენი მსოფლიო, პროტოიბერიულ ძვლებზე ვასხლობთ?!" დაახლოებით, აი, ამგვარი, რიტორიკული შეკითხვიის ნიუანსებით.

ბუნებრივია, საპრეზენტაციო მონუმენტურ თხზულებაში ჩემი ასაკისა და გამოცდილების შემოქმედს არ გაუჭირდება სტილისტური თუ სხვა ლაპსუსების პოვნა, მაგრამ რადგანაც უმთავრესი მიღწეულია, აწი თამამად შეიძლება ითქვას, მოგვევლინა მეგრულენონანი ატომური მუხტისა და ენერგიის რომანი „ბჟამორინელი"; იმ სამეტყველო ფონემებს თუ სიტყვათქმერბს იგი ვერარით განახორციელებდა მსგავსი ტოლძალოვნეებით დედაქართულზე, მიუხედავად ჩიმებული ლექსები გამოუქვეყნებია MშობლიურI ქართულით. იგი რომელე ენაზეც უნდა ითარგმნოს შემდგომ და შემდგომ, მეგრული უმძლავრესი ზმნის ქვათაკირზეა დაფუძნებული და იოლი არ იქმება ამ რომანის გადატანა თავის ენაზე მაღალოსტატური მიდგომის მოუშველიებლად. მანმადე კი განხორციელებულია მართლაცდა იგავმიუწვდომელი ფაბულის მქონე რომანი ბჟამორინელად, მზემოფენილად, მზემოსხივოსნებულად, რომელსაც ანალოგი არ ეძებნება წიგნიერ მსოფლიოში.

გური ოტობაია,
მწერალი

ერვანდა პპიონების წინააღმდეგ

— სლუში, ზურაჯან, ვერაფერი ვერ გაგიგე, — უცერემონიოდ დამადგა თავზე ერვანდა.

— რა იყო, საათმა აგირია? ნახე, რომელი საათია!

— მაიცა, კაცო, მე მეგობრობა კრუგლასუტოჩნი ვიცი! იმ განდილას რა უნა? — ისეთი შეკითხვა დამისვა, ვერაფრით მივხვდი, რას მეკითხებოდა.

— ერვანდ, დამიკონკრეტე, თორემ ჯერ შენ მოგკლვ და მერე თავს მოვიკლავ, — შევეცადე, რაც შეიძლება დამაჯერებელი ვყოფილიყავი.

— ის გოგო, რა! ნახე, რა ნატიფარია? გავარიტ, მჩაგრამენ! ვინ ჩემი ფეხებია და სულაც ვინა ჩაგრამს?

— გადი, რა, ვერა ხედავ, რომ ხეზე ვარ ასული? — შევუღრინე.

— შენ ისა ხარ, სკვნიჩა? სუ ხეზე რათა ხარ? მოვალ — ხეზე ხარ, სუ მანდ რათა ხარ, ბუდეს იკეთამ? — გადაბჟირდა ერვანდა.

— ჩამოვალ და ბუდე მერე იქნება! ნანულის ვუკრეფ თუთას, რა გინდა?

— ეგრე თქვი, რა! ნანულის რათ უკრეფ, თითონ ვერ დაკრეფამს თუ რა, ორი მეტრა კაცი უნა გათრიოს ნახევარმა მეტრა ქალმა?

— სიკვდილი და არაგადარჩენა შენ! — გამოენთო ნანული ფანჯრიდან.

— ვოტ, გაიჩითა დაქალი! ესენები სუ ეგრე არიან, სადაც ერთია, იქაც მიორეა. გეობნები რაააა, ამათი დღელვოკერა პაროდა ეგრეა, — ბეჭედასმულად მომახსენა ერვანდამ

— ერვანდ, ახლა ჩამოვდივარ და დაგხოცავთ ორივეს! — გავაფრთხილე კიბიდანვე.

— მე რათა მხოცამ, ეგ პიავკა დახოცე, ნახე, რა უთხრა? ზურაჯან, თუთა-მუთა არ ვიცი, ძმობა — ძმობაა... ნელა ჩამო, ფეხი არ გაგძვრეს, ნანულა არ მოგაბამს, — ჩაიხითქითა ერვანდამ და ნანულიც გამოენთო.

რაღა დამრჩენოდა — ნანულის თუთა მივაწოდე, ერვანდას — სამი თითის კომბინაცია.

ის ხომ იცი შემოვარდება და რას ამბობდი-მეთქი, სახლში შესვლისთანავე ვკითხე.

ნეტავ, არ მეკითხა!

ჯერ გვარი ვერ გავიგე, მერე სახელი, მერე დანაშაული — მთლად გამაოგნა! ვერაფრით გავიაზრე, ვისზე მეტყველებდა, ან რა დააშავა ისეთი, რაც აქამდეც დაუშავებია, ვერაფრით მივხვდი.

— ბიჯო, დღელვოკერა რაღა არის და ვინ რა დააშავა, — ჩავეძიე იმის იმედით, რომ რაღაც ახალი ინფორმაცია ეცოდინებოდა.

— გველია, რა! მაგის მეტი რა გვყამს უბანში, — გაოცებულმა შემომხედა ერვანდამ, როგორ არ იცი.

— გველხოკერა? — ამიტყდა სიცილი.

— ზუსტადაც! ესენები სუ ეგენები არიან. სლუში, ქართველი ეგრე როგო უნა გაფუჭდე, რომ შენ სამშობლოს სუ პადნოჟკებს უდემდე. მერე წყინთ, რათა ვართ შპიონებიო. შპიონზე ვარესი ხარ, ვიღაცა ხარ. შპიონი მუშაობს თავის ქვეყანაზე, სამსახურია ეგეთი, თავისი ქვეყნითვინ იხარჯება და ისარჯება, ესენები კიდე სხვა ქვეყნისთვის ისარჯებიან, რო თავის ქვეყანას ავნონ, — სიტყვით გამოვიდა ერვანდა, მაგრამ მაინც ვერაფერი გავიგე.

— ბიჯო, ვინ რა ქნა, დალაგებულად ვერ იტყვი?

— სლუში, ზურაჯან, შენ ტელევიზორს ვაბშე არ უყურამ? აგე, ის პალკოვნიკი ქალი როა, ის გაფრენილა ამერიკაში და სენატში სუ საქართველოზე უფურთხამს. ჯერ კიდე იმ დარმაედი და ტოჟემ მავნებელი მიშას დროიდან ეგრე ვრედნობდა.

— პოლკოვნიკი ქალი ვინღაა? — ერვანდას ნათქვამმა საგონებელში ჩამაგდი.

— ნუ, მაშინ კაპიტანი იყო, ეხლა პალკოვნიკი აღარ გახდებოდა? რა ვიცი, მოჟეტ უჟე გენერალია, ზვანიებს ხო ეგრე მუქთაზე სროულობენ, — შეძლებისდაგვარად დამაკვალიანა.

— კაპიტანი გიგაური?

— ზუსტადაც ეგა! ტიპები ჯარშიც არა ყოფილან და სულ რაზნი-რაზნი ზვანიები დაირიგეს. დაჟე პრასტოი ვაენნი უჩილიშჩა არ ქონიათ და სულ გენერლებად დაიჩეკნენ. ეგ ამერიკის სენატი პრაზადნოი დვორია გამხდარი, თორე ეგ ჩერდაკის ვირთხა რათ უნდა დაეპატიჟნათ და ჰამა, მოესმინათ კიდეც? მე გადაწყვეტილად ვამბობ: ადამიანი, რომელიც რო თავის ქვეყანასა შპიონობს, ის არც სხვა ქვეყანას გამოადგება! იცი, რათა? იმიტო, რო იყიდება — ვიღაც სხვა დაიქირავებს და ახლა ამას უღალატებს — სუ ესაა მთელი ფილასოფია.

— შენნაირი პატრიოტი საქართველოს არ ჰყავს, მაგრამ არ გაფასებენ, ერვანდ, — ჩავუკარი თვალი.

— მე ძაანაც დაფასებული ვარ, ნო ჩემ წრეში, მაგათ რათ უნა დამაფასონ, განა მეც შპიონი ვარ, — იუკადრისა ერვნდამ.

— საქართველო არ გაფასებს...

— ძაანაც კარქა მაფასებს, ჩემ ჭკუაზე დავდივარ და კარგად პენსიაც მაქ, მეტი რაღა დამაფასოს, რომელი ფიდელ კასტრო მე ვარ!

— ფიდელ კასტრო რამ გაგახსენა? — ამიტყდა სიცილი.

— აშშ-ს ნევრებს უშლიდა და იმან. ახლა მე ხო დამკვირვებლათ გამაკეთეს არჩევნებზედ, გავარიატ, რო ეგაც დამკვირვებელი უნა იყოს, რო აბიექტური ვინმე დამკვირვებელი იქნება. ტო, ეგა? რა აბიექტური იქნება! ერთი ნანულა იქნება აბიექტური და მიორე ეგა! სლუში, გეობნებიან, რო თქვა, რაში გიხდიან ფულსა და რათ გიხდიან, შენ თუ პატიოსანი ოფლით იღვრები, რა-

— ბიჯო, ეგ ეგეა, ეგ ეგეა! ეგ ეგეა! ეგ ეგეა!

კარგი მამის კარგი შვილი, საოცრად თავმდაბალი ადამიანი იუმორის საუცხოო გრძნობით, სანიმუშო შვილი, მამა, ძმა, ადამიანი, მსახიობი... სიკვდილთან ხანგრძლივ ბრძოლაში დამარცხდა.

ინტერვიუ მსახიობ ზურა ბერიკაშვილთან 5 წლის წინ შედგა, სადაც ის მამაზე, სკოლასა და ბავშვობაზე, შვილიშვილზე საუბრობს...

„საერთო გაზეთი“ თანაუგრძნობს ოჯახს, ქართულ თეატრსა და მაყურებელს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობის, ზურაბ ბერიკაშვილის გარდაცვალების გამო და იზიარებს საზოგადოების დიდ გულისტკივილს.

„ვფიქრობ, რომ მამა არასდროს შემირცხვენია“ - რატომ სჯიდნენ ზურა ბერიკაშვილს ბავშვობაში

ზურა ბერიკაშვილი:

- წყნარი, ზედმეტად მორიდებული და ზარმაცი ბავშვი ვიყავი. ცუდად ვსწავლობდი. ორგანიზატორი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ შატალოზე ხშირად დავდიოდი, რის გამოც დედა მსჯიდა. როცა ექიმთან, ან სადმე მივდიოდი, თან მამა მიმყვებოდა. ჩემთვის ყოველთვის იცლიდა და მერჩივნა, ის გამყოლოდა. თუმცა, მოგვიანებით მივხვდი, რომ მამასთან ერთად სიარული დიდ დროს მაკარგვინებდა. მაგალითად, 15 წუთის სავალ გზას, ხშირად სამ საათს ვანდომებდით, იმიტომ, რომ გივი გზაში ათასჯერ უნდა გაჩერებულიყო, ყველას გამოლაპარაკებოდა, მოეკითხა, მოსიყვარულებოდა... თვითონ უნდოდა ასე, თორემ ძალით კი არავინ აჩერებდა ქუჩაში.

- სასიამოვნო განცდა იქნება, როდესაც ისეთი ადამიანის შვილი ხარ, ვინც, ფაქტობრივად, ყველას უყვარს. შვილების სწავლა-განათლებაში თუ ერეოდა ბატონი გივი, გაძლევდათ შენიშვნებს?

- სწავლის გამო უფრო დედა მსაყვედურობდა, მამა ამ საკითხში არ ერეოდა. პირველ სექტემბერს და სადღესასწაულო ღონისძიებებზე მას ხშირად იწვევდნენ ჩვენთან სკოლაში და ღონისძიების წაყვანას, ან სიტყვით გამოსვლას სთხოვდნენ. მანქანით სკოლამდე ხშირად მივყავდი, მაგრამ იქ იშვიათად შემოდიოდა.

მამას, ზოგადად, ადამიანები უყვარდა. ასაკშიც რომ იყო, 30-კილოგრამიან ტვირთს ისე დაიჭერდა ხელში, არ დაგიძახებდა, მომეხმარეო, თუ თვითონ არ დაინახავდი და არ მიხვიდოდი. არ უნდოდა, რამით შეეწუხებინე, იქით იწუხებდა თავს სხვების გამო. გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე ჩვენი უბნის მაღაზიის გოგოებთან ერთად ყავას სვამდა. სახლშიც, როცა ზოგჯერ ძალიან ცუდად იყო, თუ სტუმარი მოვიდოდა, უკვე რადიკალურად იცვლებოდა. როცა პუბლიკას ხედავდა, მაშინვე ფეხზე წამოდგებოდა და ცუდად ყოფნაც ავიწყდებოდა. ამას ვერ ითამაშებ, შეიძლება ერთხელ გამოგივიდეს, მაგრამ ყოველთვის არ გამოგივა. უბრალოდ, ასეთი იყო, ადამიანებთან ურთიერთობა აცოცხლებდა...

- თქვენს პროფესიულ არჩევანზე, ალბათ მამამ მოახდინა გავლენა...

- მამა ამ საკითხში არ ჩარეულა და არც მე მინდოდა მსახიობობა არასდროს, ბავშვობაში. ეს უფრო მეცხრე-მეათე კლასში გადავწყვიტე. ბავშვობიდან, ფაქტობრივად, თეატრში ვიზრდებოდი, სამი წლის ასაკიდან მახსოვს, როგორ დავდიოდი სპექტაკლებზე, ალბათ, ეს დაილექა ჩემს მეხსიერებაში და გავლენაც მოახდინა. მშობლები არც აღფრთოვანებულან ჩემი გადაწყვეტილებით და არც წინააღმდეგ წასულან. ეს ჩემი არჩევანი იყო.

- მასწავლებლები როგორ გახსენდებათ?

- თითქმის ყველა მასწავლებელი მახსოვს და არიან ისეთებიც, ვინც გამორჩეულად მიყვარს, ზოგი უფრო მეტად, ზოგიც - ნაკლებად, მაგრამ არ მინდა, ეს ხმამაღლა ვთქვა, ვინმეს გული რომ არ დავწყვიტო. თითოეულ მათგანს პატივს ვცემ და ყველა მასწავლებელი, რომელიც მსჯიდა თუ არ მსჯიდა, ახლა დადებითად და თბილად მახსენდება.

- თუ წყნარი და მორიდებული ბავშვი იყავით, რატომ გსჯიდნენ?

- ზოგჯერ ასეც ხდებოდა. ერთხელ, მაგალითად, ძალიან არ გვინდოდა დილიდანვე გაკვეთილებზე დასწრება და გადავწყვიტეთ, რაღაც მოგვეფიქრებინა. ზამთარი დგებოდა და იმ დღეს სკოლაში რადიატორები უნდა ჩაერთოთ... გადავწყვიტეთ, საკლასო ოთახში რადიატორი გადაგვეხერხა, რომ, როცა ცხელი წყალი წამოვიდოდა, მილი გამსკდარიყო და გაკვეთილები ჩაშლილიყო... საქმეს ადრინდანდ შევუდექით, ვიპოვეთ პატარა ხერხი და გამორჩეულ ნაწილს რომ არ დაგვბრალებოდა, მთელი კლასი, გოგოიან-ბიჭიანა დავდექით და რადიატორი რამდენიმე ადგილას გადავხერხეთ. ცოტა ხანში, როცა მილებში მდუღარე წყალი წამოვიდა, მართლაც გასკდა ეს რადიატორი, მთელი წყალი იატაკზე დაიღვარა, პარკეტი აიყარა და ატყდა ერთი ამბავი. რას იზამდნენ, მთელ კლასს ხომ არ გაგვყრიდნენ სკოლიდან? თუმცა, იმით დაგვსაჯეს, რომ რამდენიმე დღე გაყინულ ოთახში გაკვეთილებს მაინც გვიტარებდნენ.

- სპორტზე, მუსიკაზე, ცეკვაზე დადიოდით? კითხვა თუ გიყვარდათ?

- დიდხანს არსად მივლია. თუ სადმე შევიდოდი, მალევე მბეზრდებოდა და თავს ვანებებდი. ცოტა ხანს სუხიშვილების სტუდიაში დავდიოდი, შემდეგ, - „პიონერფილმში“... სტაბილურად რომ სადმე მევლო, ასე არ ყოფილა. ერთადერთი, სადაც სტაბილურად „დავდიოდი“ და თან არც მბეზრდებოდა, ეზო იყო, - ეზოში ვთამაშობდი ფეხბურთს ყველაზე დიდხანს. კითხვა მიყვარდა. განსაკუთრებით, „სამი მუშკეტერი“ და „დონ კიხოტი“ მომწონდა და რამდენჯერმე მაქვს წაკითხული.

- რა მოგწონდათ იმ პერიოდის საგანმანათლებლო სისტემაში და რა იყო თქვენთვის მიუღებელი?

- ყოველთვის და ყველა დროში იყო ამ სისტემაში როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარე. ყველა ბავშვს გართობისკენ უჭირავს თვალი, მაგრამ თუ მას სწავლა და განათლების მიღება უნდა, არა აქვს მნიშვნელობა, რომელ სკოლაში და თუნდაც, როგორი მეთოდიკით ისწავლის, - ის მაინც სწავლობს და მაინც აღწევს წარმატებას. თუნდაც, სტატისტიკას რომ გადავხედოთ, ვნახავთ, რომ შეიძლება სადღაც ისეთი მაღალმთიანი სოფლის სკოლის მოსწავლეს ჰქონდეს უმაღლესი შედეგები, სადაც სულ ოთხი ოჯახი ცხოვრობს. იმ ბავშვს სწავლა უნდოდა და ისწავლა, იმეცადინა, არც რეპეტიტორი ჰყოლია და არაფერი... ისეც ხდება, რომ ბევრი შეძლებული მშობელი ცნობილ უმაღლესებში უშვებს შვილს სასწავლებლად, მაგრამ წლების შემდეგ ჩამოდიან „ლონდონებიდან“ და ამერიკიდან და აღმოჩნდება, რომ თურმე სანახევროდაც არ ჰქონიათ სწავლა დასრულებული. რა თქმა უნდა, ბავშვს ხელშეწყობა სჭირდება, მაგრამ ყველაფერი მაინც მისი ტვინის ხვეულებზე და შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული.

- მახსოვს, ერთხელ იხუმრეთ, მთელი ცხოვრება გივის შვილი ვიყავი, შემდეგ კი გივის მამაც გავხდიო... საინტერესოა, როგორი შვილი იყავით და როგორი მამა ხართ თქვენი ორი გივისთვის?

- ჩემი ორი შვილისა და შვილიშვილისთვის, ვფიქრობ, რომ ჩვეულებრივი მამა და ბაბუა ვარ, ვისაც მინდა, რომ ყველაფერი გავუკეთო, რაც შემიძლია. მათ გადაწყვეტილებებში არ ვერევი, - ვერც ჩაერევი! რა აზრი აქვს, ყველაფერს მაინც ისე გააკეთებენ, როგორც თვითონ მიაჩნიათ საჭიროდ.

„გივის შვილობა“ კი, ახლაც თან მდევს, ახლაც ძალიან ბევრი ადამიანი მაჩერებს ქუჩაში და გივიზე მელაპარაკება. შეიძლება რაღაცები დამიშავებია და არც სხვისგან გამორჩეული ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მამა არასდროს შემირცხვენია. ისეთი არაფერი ჩამიდენია, რომ მას ჩემგან წინ დახვედროდეს. თვითონაც ასე ამბობდა და რა ვიცი! ისე, არც არავისგან ითხოვდა ზედმეტ მზრუნველობას და ყურადღებას.

ნონა ქარქაშაძე

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, პატორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია პატორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები პატორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99